ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 2021 №147 (8676) ფასი: 60 თეთრი

## „ქალი გონდაკარგული წაიყვანეს, სისხლით იყო დასვრილი“

მაკა მაისურაძის დაჭრისთვის დავით დვალიძე დააკავეს



გვ.5

# „ოცნებაში“ ღარიბაშვილის წასვლაზე ალაპარაკდნენ

## ვინ შეცვლის პრემიერს




გვ.2

## „წულუკიანის მსგავსი კლოუნი საქართველოს ისტორიაში არ ჰყოლია“



ლევან ბერძენიშვილი: „სასაცილოა მიდგომა არც „ნაცები“ და არც „ქოცები“... ვაშაძესაც ვგულისხმობ და სამნიძესაც“



გვ.2

„არ ვუპასუხებ მაგ კითხვას, დათო ბერძენიშვილი ჯერ ჩემი ძმაა და მერე პოლიტიკოსი, რომელიც ხან შეცდება და ხან ჭკვიანი იქნება“

## „დიდ საშიშროებას ვხედავ, რომ სამოქალაქო ომი არ დაიწყოს“

ვატო სურგულაძე: „ჩვენი ექიმების 20%-იც არ არის აცრილი“



გვ.3

## „1998 წელს ქვეყანაში უფრო მეტი თვითმმართველობა იყო, ვიდრე ახლაა“



გვ.4

მამუკა გიორგაძე: „დასავლეთი რუსეთთან აკავშირებს როგორც მმართველ პარტიას, ისე იმ ოპოზიციას, რომელიც „ოცნებასთან“ ერთად ქაოსს ქმნის“



გვ.3

## „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ ყელში გაეჩხირება“



სოსო ცინცაძე: „რეალური კოალიციური მთავრობა ერთხელ მაინც უნდა გამოვცადოთ“

## გიორგი გახარია: „ხელისუფლება მხოლოდ შიში ალაპარაკებს“



გვ.4

ISSN 1987-9385

2 ვაქცინირებულ კლიენტს ფასდაკლება, თანამშრომელს — ხელფასზე დანამატი

5 სუს-ის თანამშრომლებზე ინფორმაციის გავრცელებაზე გამოძიება დაიწყო

5 შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს

6 ლატვიამ ბელარუსის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

# „წულუკიანის მსგავსი კლოუნი საქართველოს ისტორიაში არ ჰყოლია“

## ლევან ბერძენიშვილი: „სასაცილოა მიდგომა არც „ნაცები“ და არც „ქოცები“... ვაშაძესაც ვგულისხმობ და სამნიძესაც“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ არის შეზღუდვების ფონზე „შეუზღუდავი“ თეა წულუკიანი? რა სურდა მას მწერლებთან მიმართებით? სად არის ოპოზიცია და რაში არ ეთანხმება თავისი ყოფილი პარტიის თავმჯდომარეს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ყოფილი წევრი ლევან ბერძენიშვილი საუბრობს.



„არ ვუპასუხებ მაგ კითხვას, დათო ბერძენიშვილი ჯერ ჩემი ძმაა და მერე პოლიტიკოსი, რომელიც ხან შეცდება და ხან ჭკვიანი იქნება“

***– მძიმე ვითარებაა კოვიდთან დაკავშირებით. შეზღუდვები დააწესა ხელისუფლებამ, მაგრამ რატომღაც არ შეეხო კონცერტებს. თეა წულუკიანის ორგანიზებით იმართება კონცერტები და მისთვის ყველაფერი „მოსულა“?***

– მე ვფიქრობ, რომ ისეთი სიტუაციაა, რომ თეა წულუკიანს ეგ თანხები აუთვისებელი დარჩება. იმიტომ, რომ ჩემი აზრით, როდესაც ასე იზრდება ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა და შესაძლოა ასამდეც კი ავიდეს მიცვალებულთა რაოდენობა, ამ ვითარებაში კონცერტებს ვერ ჩაატარებენ. მათ უნდათ კონცერტები. თეა წულუკიანის ყველა გამოსვლა იაფფასიანი კონცერტია. შეგიძლიათ უყუროთ და მოკვდეთ სიცილით. მსგავსი კლოუნი საქართველოს ისტორიაში არ ჰყოლია, თანაც ქალი კლოუნი ცოტა იშვიათობაა.

***– მის მოქმედებაში კონკრეტულად რაში დაინახეთ კლოუნადა?***

– მაგალითად, მიკროფონის გამოტაცებაში ჟურნალისტის ხელიდან, მის ვითომ არდაბრუნებაში, მის უაზრო ღიმილში, მის გაუმართლებელ მეტყველებაში და ა. შ.

***– იმ პროცესზე რას იტყოდით, რაც მწერლების გარშემო განვითარდა? ჯერ მწერლებმა გამოთქვეს პროტესტი კონკურს „ლიტერაზე“ „ჩანერგილი“ ჟიურის წევრი გამო და მოხსნეს წიგნები კონკურსიდან, შემდეგ ვნახეთ მწერალთა აკადემიის განცხადება და აღმოჩნდა, რომ მისი წევრების დიდ ნაწილს ხელი საერთოდ არ ჰქონდა მოწერილი. რა პროცესი დაინახეთ?***

– მე დავინახე ასეთი პროცესი, რომ საქართველოში არის მწერლობა, რომელიც არ ეთანხმება ხელისუფლების ჩარევას ისეთ საკითხებში, როგორიც იყო ახლა. იქ არის ნამდვილი მწერლობა. რაც შეეხება მწერალთა აკადემიას, იქ ბოლო ხანებში რა დაწერეს, არ ვიცი. როცა დაწერეს, რას წარმოადგენდა, ისიც არ ვიცი. ამბობენ, რომ არაბულია ვიღაც ძალიან მაგარიო. უკაცრავად, რას წარმოადგენს და რას ჰქვია მაგარი?!

სინამდვილეში მწერლები არიან ისინი, ვინც აქაც იბეჭდებიან და მსოფლიოში იბეჭდებიან. მათ გააპროტესტეს. ვინც წერილი გაავრცელეს, მათ შორისაც ურევია ვილაცა, ვისაც ოდესღაც სადღაც რაღაც გაუკეთებიათ. მაგრამ ჯერ ერთი, ასეთ ბინძურ რამეზე ხელი როგორ უნდა მოეწერათ? მერე ყველამ არ გააპროტესტა, მერე ზოგმა არ მოაწერა, მაგრამ არც გააპროტესტა და ა. შ. მოკლედ, ის არის წარსული ხალხი და მათზე არ უნდა ვიდაროთ. ნაწილი არც უნდა წავიკითხოთ, გინდა არაბული იყო და თუ გინდა არაბული იყოს ყველა ერთად აღებული. არ ეკადრებაო რომ თქვეს, მაშინ გამეცინა. რატომ არ ეკადრებათ, რამე მნიშვნელოვანი აქვთ გაკეთებული?! ბარათაშვილია თუ ვინ არის.

თეას სჭირდება ეს ხალხი. მას ჰგონია, რომ რეზო მიშველაძე და რეზო ამაშუკელი უშველის. სინამდვილეში წულუკიანმა მწერლების მარტივად მოთვინიერება განიზრახა მარტივი ორლობის პოლიტიკოსის მეთოდებით, რომელიც ჭრიდა იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ მწერლობა ვაჟკაცური პროფესიაა. არ ეწყინოთ იურისტებს, მაგრამ შესადარებელი არ არის, მწერლები ყველაზე უფრო ხშირად იკლავენ თავს, რადგან პასუხისმგებლობის მქონე ხალხია. ამიტომ დაუპირისპირდა ისეთ რამეს, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ წულუკიანი, ის მიაჩნიათ მუწუკად ქართულ პოლიტიკაში.

მაგალითად, პაატა შამუგია თუ ლაშა ბუღაძე არის 7000 წულუკიანი. რაც არის წულუკიანი მთავრობისთვის, იმის 7000-ჯერ მეტს წარმოადგენენ ეს ადამიანები მწერლობაში. წულუკიანი ისეთ რამეს შეეხო, რაზეც წარმოდგენა არ აქვს. იმიტომ, რომ უკითხავი და უვიცი ქალია. მიუხედავად იმისა, რომ „ენას“ დიპლომი აქვს. მე პატივს ვცემ დიპლომს, მაგრამ დიპლომანტს არა.

***– ასეთ გაუნათლებლად მიგაჩნდათ ყოველთვის?***

– დიახ, ასეთად მიმაჩნდა. როდესაც პირველად გავიცანი, მაშინ ვიყავი შოკში, რომ ასეთი უწიგნური ადამიანი, როგორ შეიძლება სადმე დაწინაურდესმეთქი, მაგრამ ჩვენ ხელისუფლებაში შეჩვეულები არიან, რომ რაც უფრო მაღლა ადიან, მით უფრო არ უშლით ხელს არაფერი.

***– თუმცა, მაშინ კოალიცია და სხვა ვითარება იყო.***

– კოალიცია რომ იყო, მაგიტომაც ვთანამშრომლობდით და დავდიოდით კიდეც მასთან, მაგალითად, მე, თამარ კორძაია ყოფილი პოლიტპატიმრების საქმეებთან დაკავშირებით. მაშინ აღმოვაჩინე, რომ უვიცი, გაუნათლებელი, უსულგულო და ადამიანისადმი არანაირი შებრალების განცდა რომ არ აქვს, ისეთი არსებაა. როდესაც ვთანამშრომლობდით და ერთად ვიყავით კოალიციაში, მაშინ აღმოვაჩინე, რა პატარა ადამიანია თეა წულუკიანი.

***– რუსული ან საბჭოური მეთოდებიც ხომ არ დაინახეთ წულუკიანის მოქმედებებში?***

– არა. არა მგონია, მან საერთოდ იცოდეს რა არის მეთოდი, გინდა რუსული იყოს და გინდა ჩინური. მაგას ჰგონია, რომ თვითნაბადი ტალანტია და მამამისის და ბიძინა ივანიშვილის გარდა, სხვა გენიოსი მსოფლიოში არ ეგულება არავინ. პრიმიტივი და პატარა სულის ადამიანია.

***– ოპოზიციაზე რას იტყოდით, ხედავთ დღეს რეალურ ოპოზიციას, ვისაც უნდა დაეყრდნოს ხალხი?***

– ხალხს დიდი არჩევანი აქვს. რა თქმა უნდა, ოპოზიცია არის და არჩევანიც დიდია. მე ყველას ერთი საიდუმლო მინდა ვუთხრა – ვინც ყველაზე მეტია, იმის გარეშე საქმე არ იქნება. ამიტომ მიდგომა, რომ არც „ნაცები“ და არც „ქოცები“ და მხოლოდ ჩვენ – მესამე ძალა, მე მგონი ძალიან სასაცილოა. უკვე გადაცდა. მეოცეჯერ ხდება ეს ექსპერიმენტი და მეოცეჯერ იძახიან 40%-ს ავიღებთო და 2%-ს იღებენ.

***– გიორგი ვაშაძეს გულისხმობთ?***



– გიორგი ვაშაძეზეც და ჩემი პარტიის ყოფილ თავმჯდომარეზეც. მინდა მივანიშნო – მისი ფრაქციის ხელმძღვანელზე (ხათუნა სამნიძე იგულისხმება). 17-ჯერ არ დაიჯერა ხალხმა და მე-18-ჯერაც არ დაიჯერებს. კვლავ 2%-ს მიიღებენ ჩემი აზრით. მესამე გზა არ ნიშნავს, რომ ყრია პროცენტები და ყველა მისცემს ხმას ვაშაძეს. რატომ უნდა მისცენ ხმა ვაშაძეს?! სადმე ერთგულება გამოავლინა თუ რამე გააკეთა?! რაც გააკეთა, მაშინაც ერთი ჩვეულებრივი ჩინოვნიკი იყო, იდეა სხვისი იყო, კურატორობაც, ფინანსებიც სხვისი იყო. ეგ იყო მოადგილის მოადგილე და რაღაცას აკეთებდა 10 წლის წინ. ახლა გაირკვა, რომ ეგ წმინდანია, მიშა ცუდია, გრიშაც ცუდია და ა. შ. ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ერთმანეთის გინება არ ვარგა და რამენაირად მხარი უნდა დაუჭიროს იმას, ვისაც გამარჯვების შანსი აქვს.

***– ახსენეთ ხათუნა სამნიძე და მის ხედვებს იზიარებს თქვენი ძმა დავით ბერძენიშვილიც. რა გამოდის, ძმებსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გაქვთ?***

– არ ვუპასუხებ მაგ კითხვას. ისედაც გასაგებია. რაც გამოდის, ის გამოდის, მაგრამ მე არ ვუპასუხებ. ჩემი ძმა სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, ყოველთვის იქნება ჯერ ჩემი ძმა და მერე იქნება ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც ხან შეცდება და ხან ჭკვიანი იქნება და. შ. მე ახლა ჩემ ძმაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი გადაივლის და ძმობა ყოველთვის ძმობაა. მაგაზე მნიშვნელოვანი ვერ გახდება ჩემთვის.

***– მე და ჩემ ძმასაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვაქვს.***

– კოლეგები ვყოფილვართ. მაგას რა სჯობია. შვედეთში პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი ერთ დროს განსხვავებული შეხედულებების იყვნენ და თან პარალელურად ცოლქმარი იყვნენ.

# „ოცნებაში“ ღარიბაშვილის წასვლაზე ალაპარაკდნენ

## ვინ შეცვლის პრემიერს

„ქართული ოცნება“ უმძიმესი არჩევანის წინაშეა. საქართველოს დასავლელი პარტნიორები, რომლებიც ქვეყნისგან, პირველ რიგში, დემოკრატიული ღირებულებების დაცვას მოითხოვენ, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ერთიანდებიან.

პოლიტიკურ-დიპლომატიურ კულუარებში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია მოქმედი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წასვლის და მისი პარლამენტის თავმჯდომარით ჩანაცვლების შესახებ.

პარლამენტის თავმჯდომარე ჯერჯერობით არ ადასტურებს, თუმცა, „მთავარი არხის“ ინფორმაციით, საკადრო ცვლილება გარდაუვალია.

კუჭავას მიერ პრემიერის პოსტის დაკავების შესახებ ინფორმაცია უკვე თვეზე მეტია, ვრცელდება.




პირველად ამის შესახებ ივლისის მოვლენების შემდეგ ალაპარაკდნენ, როდესაც ღარიბაშვილმა ვერ შეძლო მოძალადე ჯგუფების მიერ ჟურნალისტების მასობრივი დარბევის თავიდან აცილება.

მაშინ პროტესტის ჩაწყნარება ხელისუფლებამ მოახერხა, მაგრამ კოვიდ სტატისტიკის გაუარესებამ ის ახალი პრობლემების წინაშე დააყენა.

შესაბამისად, პრემიერის შეცვლის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა.

გარდა ამისა, ნათლად გამოიკვეთა წინააღმდეგობები თავად მინისტრთა კაბინეტში. ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ უკვე ღიად მიანიშნა, რომ მის გაფრთხილებებს კაბინეტის ზოგიერთი წევრი არ ითვალისწინებდა, რამაც ეპიდვითარების სერიოზულ გაუარესებამდე მიგვიყვანა.

რთული არაა იმის მიხვედრა, რომ ტიკარაძე პირველ რიგში ღარიბაშვილს გულისხმობს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ მკაცრი შეზღუდვების დაწესების წინააღმდეგია.

– დღესდღეობით ეპიდსიტუაციის ყველაზე ცუდი სცენარით მიმდინარეობა გვაქვს. ძალიან მინდა, რომ ეს ასე არ გაგრძელდეს და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვმართოთ ინფექცია.

არ დავმალავ და ვიტყვი, რომ დაწყებული პირველი ტალღიდან, ჩვენ ყოველთვის გვქონდა კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ტიპის რეგულაცია არის უფრო ეფექტური, უფრო საჭირო, ან უფრო გონივრული და დროული. ვიტყვი შემდეგს, რომ ნებისმიერი რეგულაცია დღეს არის მნიშვნელოვანი, თუმცა რეგულაციების დაწესების მიღმა ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს ჩემთვის, როგორც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლისთვის და არამხოლოდ მინისტრისთვის, მნიშვნელოვანია ამ რეგულაციების ხარისხობრივად აღსრულება, – განაცხადა გუშინ, 10 აგვისტოს, ეკატერინე ტიკარაძემ.

# ვაქცინირებულ კლიენტს ფასდაკლება, თანამშრომელს – ხელფასზე დანამატი

## შოთა ბურჯანაძის ინიციატივა



„რესტორატორთა ასოციაციის“ დამფუძნებლის, შოთა ბურჯანაძის განცხადებით, ვაქცინირებული სტუმრები პირადად მის რესტორანში – ფასდაკლებას, ხოლო ვაქცინირებული თანამშრომლები ხელფასზე დანამატს მიიღებენ.

– ვაქცინაცია არის ერთადერთი გამოსავალი, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ვაქცინაციისაკენ მოწოდების საჭიროება გახდა საჭირო. ჩემი, პირადად შოთა ბურჯანაძის გადაწყვეტილება და არა „რესტორატორთა ასოციაციის“ გადაწყვეტილება არის, რომ ადამიანები, რომლებიც მოვლენ ჩემს რესტორანში და არიან ვაქცინირებულები, მიიღებენ ფასდაკლებას, ასევე თანამშრომლები, რომლებიც ვაქცინირებულები არიან, ხელფასის სახით მიიღებენ დანამატს.

ეს არის ჩემი, როგორც ბიზნესის წარმომადგენლის, ინიციატივა და ნაბიჯის გადადგმა, რასაც ალბათ, სხვა ბიზნესოპერატორებისგან მოჰყვება მხარდაჭერა, რომ ვაქცინირებულ ადამიანებს გარკვეული ბენეფიტი მიენიჭოთ. ამ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება არ არის არავაქცინირებულის რაღაც კუთხით შეზღუდვა, ის რჩება იმ ფაზაში, რაშიც დღემდე იყო, არ აქვს მნიშვნელობა, მომსახურების თუ ხელფასის თემა იქნება ეს.

მომხმარებელი ბენეფიტს მიიღებს ვაქცინაციის დამადასტურებელი ფურცლის ან სმს-ის (სადაც ჩანს, რომ ის აცრილია) წარდგენის შემთხვევაში, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დიდ საშიშროებას ვხედავ, რომ სამოქალაქო ომი არ დაიწყოს“

## ვატო სურგულაძე: „ჩვენი ექიმების 20%-იც არ არის აცრილი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, უმძიმესი ეპიდსიტუაციაა ქვეყანაში. თითქმის 6 ათასამდე ინფიცირებული და 54 გარდაცვლილი. რეკორდული მაჩვენებელია. ხელისუფლების პასუხისმგებლობასთან ერთად, მოსახლეობის პასუხისმგებლობაც ძალიან მაღალ დონეზე უნდა იყოს, რაც, სამწუხაროდ, არ გვაქვს. როგორია თქვენი შეფასებები?***

– როდესაც ხედავ, რომ მოსახლეობის პასუხისმგებლობა სათანადო დონეზე არ გვაქვს, მაშინ სახელმწიფომ უნდა აიღოს ლიდერობა თავის თავზე და დაამკვიდროს ეს პასუხისმგებლობა. სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ რეგულაციები იყოს დაცული. ბათუმის სტადიონზე რომ ამდენ ხალხს უშვებენ, ხომ შეიძლება ის მაინც დარეგულირდეს, რომ ადამიანები სკამგამოშვებით დასვან. მოსახლეობასთან ჩვენ კიდევ სხვა პრობლემები გვაქვს, 45% ანტივაქსერი გვყავს და ბევრს ისიც არ სჯერა, რომ კოვიდია. სახელმწიფოც რომ არაფერს აკეთებს? ვუსმენ ტიკარაძეს და არ ვიცი რა ვთქვა. გამოდის ჯანდაცვის მინისტრი და აცხადებს, მე ძალიან არ მინდა, რომ ასეთი სიტუაცია გაგრძელდესო. და რას აკეთებ იმისათვის, რომ არ გაგრძელდეს?! როდესაც შენი პრემიერ-მინისტრი ღრეობებში დადის და თამადობს! აქეთ კულტურის მინისტრი კონცერტებს კონცერტებზე აწყობს და რა მოსახლეობის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ ახლა ჩვენ?! დღეს სახელმწიფო არის ნულოვანი. სახელმწიფო რომ იქნება ლიდერი, მერე მოსახლეობაც დაექვემდებარება! როდესაც მოსახლეობას აძლევ ყველაფრის ნებართვას, ნიღბები მოვიხსნათ, 200-კაციანი ქორწილები გავმართოთ, ავტობუსებში ნიღაბი არავის უკეთია.

***– ვერ გათვალეს სიტუაცია თუ რატომ გაამარტივეს ასე რეგულაციები?***

– იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს პოპულისტური, აბსოლუტურად უნიათო მთავრობა, რომელმაც ელემენტარული რისკები ვერ გათვალა, ხალხს რომ მოუხსნიდა ამ რეგულაციებს, რა მოხდებოდა. ვერ გათვალა ის, რომ ქართველი არ არის შვედი, გარეთ რომ მოუხსნიდი პირბადის ტარების რეგულაციას, უნდა სცოდნოდათ, რომ ის შიგნითაც აღარ გაიკეთებდა. მით უმეტეს, რომ არ აკონტროლებენ არსად არაფერს. უნიათო მთავრობა, აი რა არის მთავარი პრობლემა. პრემიერი თავად უნდა აძლევდეს მაგალითს მოსახლეობას და ამ დროს ღრეობებში დადის და სადღეგრძელოებს ამბობს. დააწესონ მკაცრი ჯარიმები. დაწესებულება, სადაც ამდენი ადამიანი შეიკრიბება, უნდა დააჯარიმონ, თუ კიდევ გაიმეორებს, მაშინ დახურონ. მარტო ადმინისტრაციული ჯარიმები კი არა, საერთოდ დავაკავოთ კიდეც ასეთი ადამიანები. ეს საბოტაჟია, ეს არის ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება. ჩემ წინააღმდეგ, თქვენ წინააღმდეგ მოქმედებაა.

***– ვაქცინაციასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. აგრესიის, ლანძღვა-გინების ნიაღვარი მოედინება სოციალურ ქსელებში. აცრის გარეშე დავამარცხებთ ვირუსს?***

– ვაქცინაცია ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. 45% ანტივაქსერი გვყავს, ეს რომელმაც განაცხადა ოფიციალურად, რომ არ გავიკეთებ აცრასო. ამას დავუმატოთ ის ხალხი, ვინც არ უპასუხა სიმართლე, ვინც ორჭოფობს, კიდევ რაღაცა პროცენტი, ვინც აცხადებს, რომ ჯერ დავიცდი და მერე, მოგვიანებით ავიცრები, ეს 65%-ზე ადის, იგივე აირაის გამოკითხვებით.

***– მაშინ რა გვეშველება საერთოდ?***

– არაფერი! პირველ რიგში, ეს მთავრობა თუ არ გადადგა სასწრაფოთ და არ მოვიდა ტექნიკური მთავრობა, ისე ამ სიტუაციას თავს ვერ დავაღწევთ. ომია, ხალხო, სერიოზული ომია!

***– პრემიერი ამაყად აცხადებს, პირველი შემთხვევაა, 8 წელია ისე ვმართავთ, რომ ქვეყანას ომი არ ჰქონიაო. ომია, აბა რა არის, ამდენი ადამიანი გვიკვდება ყოველდღიურად?***

– ომია, ხალხო, ომი! მე ვნახე სტატისტიკა, ჩვენ 30 წლის განმავლობაში, ყველა სამხედრო კონფლიქტში, სამხედროები გაცილებით ნაკლები დავკარგეთ, ვიდრე ახლა, პანდემიის დროს. მათ სიცოცხლეს უკან ხომ ველარ დავაბრუნებთ არა?! მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო. მოჰყავთ სხვა ქვეყნების სტატისტიკა, აი ინგლისში ასე იყო... კაცო, ინგლისში 4 კაცი მოკვდა სულ და 80 მილიონი მოსახლეა! ეს ტუტუცი კიდევ, უტიფრობის დედოფალი რომ ყავთ, ეკონომიკის მინისტრი, ჩვენ რომ ვმართავთ ეკონომიკას და ეპიდემიას, ისე ვერავინ ვერ მართავს მსოფლიოშიო. უკვე აღარ ვიცი რა ვთქვა. ყველა ნორმალურ ქვეყანას გავუსწარით სიკვდილიანობის მაჩვენებლით. პირველ ადგილზე ვართ, მსგავსი რამ არსად ხდება.

***– ეს არის მეოთხე ტალღის პიკი?***

– სამწუხაროდ, ეს არ არის პიკი. თუ მთავრობამ დროულად არ მიიღო სერიოზული ზომები, უარესი იქნება. ოღონდ სერიოზულში ჩაკეტვას არ ვგულისხმობ, თუ ჩაკეტავენ, გაცილებით უარესს მივიღებთ, ეკონომიურად საბოლოოდ დავეცემით.

***– მაშინ რას გულისხმობთ სერიოზულ ზომებში?***

– ელემენტარული პირბადეს არ ატარებს



არავინ. სხვა რაზე ვილაპარაკო, ჯანდაცვის სამინისტროში ვიყავი დღეს და 10-დან ექვს პირბადე არ უკეთია. პატრული უნდა დადიოდეს, უნდა აჯარიმებდეს! უნდა აიძულებდეს, რომ გაიკეთონ ნიღაბი. ჯარიმები უნდა დააწესონ. აი ეს არის მკაცრი ზომები და არა ის, რომ ჩაკეტონ ქვეყანა და დედა უტირონ ყველაფერს. იგივე, აიკრძალოს ეს ღრეობები! როგორ წარმოგიდგენიათ, სოფლის რწმუნებულმა არ იცის, რომ ვილაცა სოფელში 200-კაციან ქორწილს ან ქელეხს აწყობს?! თუ არ იცის, ვაი მაგის პატრონს და თუ იცის და რეაგირებას არ ახდენს, ეს გაცილებით უარესია. გაგანია ომია, ყველა პატრულს ხომ აქვს თავის კვადრატი, შევიდნენ რესტორანებში, ყველგან შეამოწმონ, ღამის კლუბებში, ფიტნესს კლუბებში, აი ეს არის მკაცრი ზომები. შესრულება სჭირდება, ორგანიზება, თორემ უმარტივესი რაღაცაა. წუთით არ უნდა ჩერდებოდეს ჯანდაცვის მინისტრი, დილით ბათუმში უნდა იყოს და საღამოს ლაგოდეხში. კალიგულას ცხენივით რომ ზის სენატში. უნდა იმოძრაოს, პრობლემებს გაეცნოს! უნდა იმოძრაოს, აბსოლუტურად არაფრის გამკეთებელი! მაგრამ როგორ იმოძრავებს, მეორედ აცრილიც კი არ არის. რასაც ესენი აკეთებენ, ეს არის საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ხომ ხედავ, რომ არ იცი, ვერაფერს აკეთებ, დაანებე თავი, წადი და ვინც იცის, იმას მიეცი საქმის კეთების საშუალება. გამოდი და კაცურად თქვი, გადავდექი და წავედი რა!

***– შემოდგომა ალბათ გაცილებით მძიმე იქნება?***

– ძალიან მძიმე. სწავლა არ გვინდა რომ დავიწყოთ?! ჩვენ თუ ისევ ჩავკეტეთ ბავშვები და დავსვით ონლაინზე, საშინელება მოხდება. ონლაინ სწავლება არის უხარისხოზე უხარისხო. საშინელება ხდება! ეს თემა ძალიან კარგად ვიცი, ხუთ უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს. ისედაც რა განათლება გვაქვს, იზრდება თაობა და ამ უხარისხო განათლებასაც ველარ ვაძლევთ. არ მინდა იმის წარმოდგენა თუ რა ვითარება გვექნება სექტემბერში. ამდენი ადამიანი რომ უნდობლობას უცხადებს აცრას, ამაზეც ხომ უნდა იმუშაოს მთავრობამ? დაჯექით, აუხსენით, მარტო ტელევიზიით ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები არ კმარა, შეხვედრები მოაწყვეთ, დასხედით და ესაუბრეთ ხალხს ვაქცინის სიკეთეებზე. ამის ორგანიზება კი სახელმწიფომ უნდა გააკეთოს.

***– რატომ გვაქვს სიკვდილიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი?***

– ეს არის დაგვიანებული დიაგნოსტირების ბრალი. ასევე კლინიკებში დაგვიანებული გადაყვანა, ხალხის უნდობლობა. პრაქტიკულად გადავსებულია კლინიკები. არსად ადგილი აღარ არის. არ შეიძლებოდა, 20-20-კაციანი განყოფილებები რომ გააკეთეს. პირიქით, ჩავკეტავდი დიდ კლინიკებს და მთლიანად კოვიდპაციენტებზე მოვმართავდი. იცით თქვენ, რომ ბევრ კლინიკას ექვსი თვის კოვიდის ფული საეროდ არ აქვს აღებული?! არის რამდენიმე „ბლატნოი“ კლინიკა, რომლებსაც ფულს აძლევენ. ასე პატარ-პატარა კლინიკებში კი არ უნდა გაეფანტათ, პირიქით, ყველა დიდ კლინიკაში უნდა მომხდარიყო მობილიზაცია და ეს თანხებიც ამ დიდ კლინიკებზე მიმართულიყო. იცით, რომ ჩვენი ექიმების 20%-იც არ არის აცრილი?! დადონ სტატისტიკა, რა ხდება ამ კუთხით?! ძალიან მძიმე სურათია და უკვე მეც აღარ ვიცი, რა ენაზე ვისაუბრო, ვის რა გავაგებინო. ვხვდები, რომ აზრი აღარ აქვს. როგორ შეიძლებოდა, ჯარიმები რომ მოხსნეს, საერთოდ დაკარგა ყველაფრის შიში მოსახლეობამ. იცი რამდენისგან მოვისმინე უკვე, რომ თუ დამაჯარიმებენ, ორ ოქტომბერს მომიხსნიანო.

***– სწორედ ორი ოქტომბრის მერე რა გვეშველება? ფაქტია, მანამდე არც გაამკაცრებენ და არც ჩაკეტავენ. მერე რა იქნება?***

– პირადად მე ძალიან დიდ საშიშროებას ვხედავ, რომ სამოქალაქო ომი არ დაიწყოს. სერიოზულად ვდგავართ ამ საფრთხის წინაშე. საბოლოოდ უტირეს დედა ამ ქვეყანას.

***– ბატონო ვატო, რას ფიქრობთ 12-13 წლიდან ვაქცინაციის დაწყებაზე?***

– მივესალმები თუ ეს ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყება. ხომ ხედავთ, რა ხდება. გადატენილია იაშვილის და ციციშვილის კლინიკები. ორი ბავშვი მოგვიკვდა კიდეც. საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს დელტა შტამი. არ მიდის ისე მარტივად, როგორც წინა შტამები. ბავშვებში კიდევ საშინელებაა პოსტკოვიდ სინდრომი. იმდენ რამეს ტოვებს. ვაქცინაცია და მკაცრი რეგულაციები, სხვა გამოსავალი არ არის.

# „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ ყელში გაეჩხირება“

## სოსო ცინცაძე: „რეალური კოალიციური მთავრობა ერთხელ მაინც უნდა გამოვცადოთ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადებას კოალიციურ მმართველობაზე შეფასებები მოჰყვა. არც კახა კუჭავამ გამორიცხა 2024 წლისთვის კოალიციური მმართველობა. როგორ ფიქრობთ, რა გზავნილებია?***

– თუ ვადამდელი არჩევნები არ იქნება, მაშინ „ოცნებას“ სხვა გზა არ ექნება. 2024 წლის არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ მაჟორიტარებს ვერ დატოვებს. მაჟორიტარების გარეშე კი არჩევნების მოგება გაუჭირდება. მოსწონს თუ არ მოსწონს, „ოცნება“ იძულებული იქნება, 2024 წლისთვის კოალიციური მთავრობისთვის ემზადოს. სხვა გამოსავალი არ ჩანს. ეს საუკეთესო შემთხვევაში. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ოცნება“ ეგუება კოალიციური მთავრობის რეალობას.

***– კოალიცია ვისთან, ვინც აწყობს „ოცნებას“?***

– საერთოდ, იდეალური არც კოალიციური მმართველობა არ არის. კოალიციური მთავრობის სერიოზული ნაკლი მისი არასტაბილურობაა. იტალიაში 78-ჯერ შეიცვალა მთავრობა. ისეთი შემთხვევაც კი იყო საფრანგეთში, როდესაც ორი წლის მანძილზე 9 იყო პრემიერი.

თუმცა, რასაკვირველია, კოალიციურ მმართველობას თავისი აშკარა პლუსები აქვს. უნივერსალური და ნამდვილი პოლიტიკოსების ერა დგება. კოალიციის დროს დილეტანტები ნელ-ნელა ქრებიან. როდესაც ნამდვილ



პოლიტიკოსზე ვსაუბრობ, პირველ რიგში კომპრომისისთვის მზადმყოფ პოლიტიკოსს ვგულისხმობ. კოალიციური მმართველობა თანდათან პოლიტიკურ კულტურასაც მოიტანს. დღეს რასაც ვუყურებთ, ეს არც პოლიტიკაა და არც კულტურა. ამიტომ, 30 წლიანი მმართველობის თავზე, უნდა დავიწყოთ ევროპული ტიპის კოალიციური მთავრობის შექმნაზე სერიოზული ფიქრი. დღეს ვერანაირად ვერ წარმომიდგენია, ოპერაში სპექტაკლზე მელია რომ შეხვდეს კობახიძეს, ხელი ჩამოართვას. კოალიციური მთავრობის დროს ეს გამორიცხული არაა. შეიძლება ჟურნალისტები გაოცდეთ კიდეც, პარლამენტში, პლენარული სესიის შესვენებაზე, ყავაზე მომუსაიფე კობახიძე ან მდინარაძე და მელია იხილოთ კიდეც.

***– უშვებთ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციას?***

– ვერასდროს. ეს ამ რეალობაში წარმოუდგენელია, მაგრამ ერთიც კია, „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ თავისი ამბიციები უნდა მოთოკოს თუ მსგავსი რეალობა დადგება. რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ არის წამყვანი ოპოზიციური ძალა და კიდევ დიდ ხანს იქნება. ადრე თუ გვიან, სააკაშვილიც დაბრუნდება. ელემენტარულად, დრო ყველაფრის მკურნალია. ვიცნობ რა მიხეილ სააკაშვილს, ბოლოს და ბოლოს მისი მრჩეველი ვიყავი, ჩემთვის წარმოუდგენელია „მიშა პენსიონერი“. ის მებრძოლი პოლიტიკოსია და ის ბოლომდე იბრძოლებს.

ცხადია, მარტივი არაფერი არ არის და მით უფრო, კოალიციური მთავრობის ფორმირება. ყველას მოუნდება საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკის მინისტრობა და არავინ იბრძოლებს შერიგების მინისტრობის პორტფელისთვის, მაგრამ რეალური კოალიციური მთავრობა ერთხელ მაინც უნდა გამოვცადოთ.

***– სალომე ზურაბიშვილს რომ დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, მაინც რითია ნაკარნახევი მისი ბოლო განცხადებები?***

– რაც შეეხება პრეზიდენტს, პრეზიდენტი სახის შენარჩუნებას ცდილობს. ამით არის მისი დისიდენტური განცხადებები გამოწვეული. რასაკვირველია, ის „ოცნებას“ ვერ გაემიჯნება. ყველას კარგად ახსოვს, როგორ გახდა ის პრეზიდენტი. ასევე ყველას კარგად ახსოვს, ბილბორდებზე ზურაბიშვილის ნაცვლად ივანიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილისადმი კეთილი გრძნობები არასდროს არ მქონია და მას პირველი დღიდან ვაკრიტიკებდი, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა სააკაშვილმა, როდესაც სწორ განცხადებას აკეთებს, იმაზე უნდა ვთქვა, რომ სწორია. ჩემთვის მიუღებელი იყო ალექსანდრე ჩიკვაიძის მოხსნა. ნომერ პირველი დიპლომატი.



მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა, ქალბატონი სალომე მაინც ევროპელია, ევროპული მენტალიტეტით. როგორც ჩანს, ვერ მისცემს საკუთარ თავს იმის ფუფუნებას, რომ მიშელთან ურთიერთობა გაიფუჭოს. საფრანგეთის მოქალაქეა, ფრანგული პენსია აქვს და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ალბათ აპირებს საფრანგეთში გაატაროს ცხოვრება. ეს განცხადებები პირველ რიგში ნიშანია იმის, რომ სალომე ზურაბიშვილმა დაიწყო თავის ევროპულ მომავალზე ზრუნვა. პრეზიდენტის შარმი ექნება, დიპლომატია და არ გამოვრიცხავ საერთაშორისო მნიშვნელობის არასამთავრობო ორგანიზაციაშიც დაიწყოს მუშაობა. ამიტომ, ეს განცხადებები სრულიად არ არის უჩვეულო. შეიძლება „ოცნების“ ლიდერებს კატები ფხაჭნიან გულზე, მაგრამ არ გამოვრიცხავ, უფრო კრიტიკულიც კი იყოს და ნელ-ნელა ძვლადაც იქცეს და ყელშიც გაეჩხიროს მმართველ პარტიას. ახლა პირველ ყვავილებს ვხედავთ, ხილი მერე იქნება. პრეზიდენტი უფრო მოურიდებელი და გაბედული იქნება „ოცნების“ მისამართით. თვითონ ის ფაქტი, რომ მან დღეს ღიად დაუჭირა მხარი კოალიციურ მმართველობას, ეს უკვე არის გზავნილი „ოცნებისთვისაც“.

# „1998 წელს ქვეყანაში უფრო მეტი თვითმმართველობა იყო, ვიდრე ახლაა“

## მამუკა გიორგაძე: „დასავლეთი რუსეთთან აკავშირებს როგორც მმართველ პარტიას, ისე იმ ოპოზიციას, რომელიც „ოცნებასთან“ ერთად ქაოსს ქმნის“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.**



***– წინა ინტერვიუში ივარაუდეთ, რომ „ქართული ოცნება“ არ შეასრულებდა ე. წ. მიშელის მემორანდუმში ასახულ პირობებს. იმავე დღეს, როცა გაზეთის ნომერი ამ ინტერვიუთი გამოვიდა, მმართველმა პარტიამ გამოაცხადა, რომ ტოვებს მიშელის შეთანხმებას. მოვლენების ასეთ სწრაფ განვითარებას, ალბათ, თქვენც კი არ ელოდით?***

– იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება“ უარს იტყოდა აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. მე და ჩემი თანამოაზრეები ძალიან დიდი ხანია ვაკვირდებით პროცესებს, ვაანალიზებთ მოვლენებს და ვხვდებით, რა უნდა მოხდეს. რაზე მიდის მთელი ენერგია და დრო? წვრილმანებზე და არა სახელმწიფოს აღმშენებლობაზე. ჩვენი ცხოვრება გაჯერებულია ისეთი ისტორიებით, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე ეძახდა ყბადასაღებ და წყალწასაღებ ამბებს. დროს ვკარგავთ მეასეხარისხოვან ამბებზე და ამ დროს გვერდზე გვრჩება ინსტიტუციების ფორმირება, ადამიანების ჯანმრთელობა, კოვიდრეგულაციები, სხვა სასიცოცხლო პრობლემები. ვერ ვიგებთ, დაარღვია თუ არა პრემიერმა ეს წესები, უნდა იმართებოდეს თუ არა დიდი კონცერტები. ვერ შევთანხმებულვართ, 7 აგვისტოს დაიწყო ომი თუ 8 აგვისტოს. ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ეს თვითმმართველობა არ გვაქვს. ამ დროს თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტები ის სტრუქტურებია, რომლებმაც უნდა მიაწოდონ ადამიანებს მთავარი სერვისები, მოაგვარონ ყოფითი, სამეურნეო საკითხები.

***– ჩვენთან ამ საკითხებს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ელევა?***

– დიახ. არადა, ეს არ არის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია. ადგილებზე – ჩხოროწყუ იქნება, ჩოხატაური თუ ლაგოდეხი, გზის დაგება, წყლის გაყვანა, მიწის ნაკვეთების განკარგვა არის ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი ორგანოების ფუნქცია. ცენტრალურ ხელისუფლებას ურჩევნია, ამ ყველაფერში თვითონ ჩაერიოს, ფულიც თვითონ ჰქონდეს, რომ მერე ამაზე ქულები დაიწეროს.

***– მემორანდუმს დავუბრუნდეთ. დოკუმენტიდან გამოსვლის შემდეგ „ოცნების“ ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ უბრუნდებიან კონსტიტუციურ წესრიგს და კონსტიტუციურ ჩარჩოებს. ეს განცხადება როგორ აღიქვით?***

– ესაა აშკარად ანტიდასავლური განცხადება. ისიც უფრო გამოიკვეთა, რომ ჩვენ და დასავლეთის სამყაროს მეტყველების სხვადასხვა კულტურა გვაქვს. საქილიკოდ ვხდით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „შეშფოთება“, „გაბრაზება“. არ ვიცი, ცივილიზებულმა სამყარომ ამაზე მეტად როგორ უნდა გაგაკრიტიკოს და გისაყვედუროს იმის გამო, რომ სიტყვას არ ასრულებ და არ აკეთებ იმას, რაც საქართველოს სჭირდება!

***– მემორანდუმში ეს იყო ჩადებული?***

– რასაკვირველია. რა ეწერა იქ იმისთანა, რაც ჩვენ არ გვჭირდება! სასამართლო არ გვესაჭიროება თუ ნორმალური არჩევნები?! ამას ამდენი წელიწადია ვერ მივაღწიეთ, ისევე, როგორც თვითმმართველობას. ამის მაგივრად არის ხმაური წვრილმანებზე და ქაოსის ნიშნები. თუნდაც, ყურადღების გადატანა ლგბტ-თემატიკაზე. სახელმწიფოებრივი აზროვნება არ ეტყობა არც მმართველ პარტიას და რაც მასთან ვითომ მოპაექრე ოპოზიციას. საიდან უნდა ეტყობოდეთ სახელმწიფოებრივი აზროვნება, როცა ისინი სახელმწიფოსთვის არ იღწვიან! შედეგად ვიღებთ იმედგაცრუებულ და დაღლილ ხალხს. ადამიანს აბედნიერებს შედეგი. მაგალითად, მევენახეს, მშენებელს ახარებს თავისი ნაამაგარი. ასევეა პოლიტიკოსიც. მყავს მეგობარი ექიმები. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერები არიან ისინი, როცა ბავშვის სიცოცხლეს გადაარჩენენ და სიკვდილზე იმარჯვებენ. ეს უდიდესი სტიმულია. მათემატიკური სკოლა მაქვს დამთავრებული და გამომიცდია, რა დიდი სიხარულია რთული ამოცანის ამოხსნა.

***– ჩვენი საზოგადოება ისეთ მდგომარეობაშია, რომ საიმედოს ბევრს ვერაფერს ხედავს?***

– ხალხს ნიჰილიზმი უჩნდება. დავუბრუნდები თქვენს შეკითხვას კონსტიტუციურ წესრიგზე. „ოცნების“ ლიდერები გვარწმუნებენ, რომ მიშელის შეთანხმებაში ჩაწერილი რეფორმები არაკონსტიტუციური ყოფილა, მერე კი, თურმე, კონსტიტუციურ ჩარჩოებს დავუბრუნდით. ამაზე კომენტარი ზედმეტია. კონსტიტუციის შეფასებაზე თუ მიდგა საქმე, იმასაც ვიტყვი, რომ იქაც არაა ყველაფერი რიგზე. კონსტიტუცია არ ავალდებულებს სახელმწიფოს ადამიანის სრულყოფილად დაცვას.

***– შესაბამისი მუხლები ხომ არსებობს?***

– ადრე კონსტიტუციაში ეწერა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის სოციალურ დაცვას. შემდეგ ეს გადააკეთეს და ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის სოციალურ დაცვაზე. ეს სხვა რამეა. „უზრუნველყოფა“ ვალდებულებაა, „ზრუნვა“ კი – შეიძლება ნიშნავდეს მზრუნველ განცხადებებს ან ერთჯერად 150-ლარიან დახმარებას პანდემიის დროს. ისევ სასამართლოს რეფორმაზე გადავალ. სამართლიანი სასამართლო არის სახელმწიფოს ფუნდამენტი. მეორე მსოფლიო იმის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა სწორედ სასამართლოს ფორმირება გაიხადა მთავარ მიზნად და ამას მიაღწია. ტრამპმა გაამწესა რამდენიმე მოსამართლე. როცა ეს მოსამართლეები პირადად ტრამპის საქმეს იხილავდნენ, ისინი მიუკერძოებელნი დარჩნენ. იმის გამო, რომ ისინი ტრამპმა დაამტკიცა, ამ მოსამართლეებს მისი მხარე არ დაუჭერიათ. საქართველოს სახელმწიფოებრიობა ძველია. გვაქვს მართვის, ძალაუფლების გადანაწილების, სამართლიანი მართლმსაჯულების მდიდარი გამოცდილება. ამიტომ, ჩვენთვის დასავლური დემოკრატიული ღირებულებები ორგანული და მშობლიურია. ამისგან გადახვევა ჩვენთვის არის გადახვევა აღმოსავლური დესპოტიისკენ.

***– მიშელის დოკუმენტზე უარის თქმაც გადახვევაა?***

– რასაკვირველია. ეს ზიანს აყენებს საქართველოს. დააკვირდით, რა განცხადებებს აკეთებენ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაზე ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ისინი ბევრ რამეს ღიად ამბობენ. დასავლეთი რუსეთთან აკავშირებს როგორც მმართველ პარტიას, ისე იმ ოპოზიციას, რომელიც „ოცნებასთან“ ერთად ქაოსს ქმნის.

***– ამაზე არაერთხელ გისაუბრიათ.***

– სხვაა, როცა ამაზე უკვე ღიად ლაპარაკობს დასავლეთი. დასავლელი პარტნიორები არ ერიდებიან იმის თქმას, რომ „ოცნება“, ნაცმოძრაობა და მათი სატელიტები არ ემსახურებიან საქართველოს აღმშენებლობას და აკეთებენ რუსეთის საქმეს. ამასთან, დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს და მის მოსახლეობას. ბოლო ხანს ქვეყანა გადართული იყო ლგბტ-თემატიკაზე. იყო დაპირისპირება. უნდა გაირკვეს, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან იყვნენ შეკრული იმ ორგანიზაციის წევრები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ე. წ. „ღირსების მარშის“ მოწყობას დედაქალაქის ცენტრში. ეს ყველაფერი გამოსაძიებელია. მგონია, რომ ეს არ არის საქართველოს უმთავრესი თემა. არც დასავლეთისთვის არის ეს უმთავრესი საკითხი. დასავლეთმა სექსუალურ უმცირესობებზე საუბარი დაიწყო მაშინ, როცა სხვა პრობლემები მოაგვარა და სხვების უფლებები დაიცვა. ლგბტ-თემა იქ არ გამხდარა პოლიტიკური. ეს არის ის საკითხი, რომელიც ჩვენ შიგნით მშვიდობიანად უნდა გადავწყვიტოთ და სულ ამაზე არ ვილაპარაკოთ. ტანზანიაში მართლმადიდებლობას შეიძლება მივესალმოთ, მაგრამ, დანარჩენი ტანზანიელების გადასაწყვეტია.

***– მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები არის რაიმეთი განსხვავებული წინა მუნიციპალური არჩევნებისაგან?***

– რაც დრო გადის, თვითმმართველობის დონე უფრო იკლებს. 1998 წელს ქვეყანაში უფრო მეტი თვითმმართველობა იყო, ვიდრე ახლაა. სხვა მხრივ დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ყველა არჩევნების წინ, ტრადიციულად, იწყება ფუსფუსი საარჩევნო ცვლილებებზე. ყოველთვის იღებენ ისეთ შესწორებებს, რომელიც იმ მომენტში მმართველ პარტიას (და მასთან გარიგებულ პარტიებს) აწყობს. საარჩევნო ბარიერი ხან 7%-ია, ხან – 1%. ამჟამად საარჩევნო ბლოკები აკრძალულია. რა შედეგიც არ უნდა დადოს პარტიამ, მას არ მიეცემა დაფინანსება და საეთერო დრო. ესე იგი, როგორი შედეგიც არ უნდა მიიღოს პარტიამ, ეს არ აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ჩვენ, სახალხო პარტია, ამ არჩევნებში ფრონტალურად და ქვეყნის მასშტაბით ვერა, მაგრამ ცალკეულ ადგილებზე ჩავერთვებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხალხს ავუხსნათ ნამდვილი თვითმმართველობის არსი და სიკეთე. სადაც გავიმარჯვებთ, იქ კონკრეტულ საქმეებსაც გავაკეთებთ და იქიდან შევუწყობთ ხელს თვითმმართველობის დამკვიდრებას.

# გიორგი გახარია: „ხელისუფლებას მხოლოდ შიში ალაპარაკებს“

– დღეს რომ დაეწყნენ ასე რიგში და ამბობენ, 2024 წლამდე რიგგარეშე არჩევნები არ იქნებაო, ამასაც შიში ალაპარაკებთ. რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ და დაარწმუნებენ ჩვენ მოქალაქეებს, რომ რიგგარეშე არჩევნები 2024 წლამდე არ იქნება, უფრო სწრაფად იქნება რიგგარეშე არჩევნები.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გიორგი გახარიამ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, რიგგარეშე არჩევნების ქვეყანაში ჩატარებას პოლიტიკური პროცესის ლოგიკა განსაზღვრავს.

– რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ რიგგარეშე არჩევნები დამოკიდებულია ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და არა იმაზე, შარლ მიშელის ხელშეკრულებას ვინ მოაწერა ხელი, ან ამ ხელმოწერაზე თქვა უარი.

რა თქმა უნდა, ხელისუფლების ხელმოწერა პოლიტიკური და იურიდიული აქტია, ისევე, როგორც ამ ხელმოწერის გაუქმებაც, ასევე პასუხისმგებლობისგან გაქცევა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს რომ დაეწყნენ ასე რიგში და ამბობენ, 2024 წლამდე რიგგარეშე არ არჩევნები არ იქნებაო, ამასაც შიში ალაპარაკებთ. რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ და დაარწმუნებენ ჩვენ მოქალაქეებს, რომ რიგგარეშე არჩევნები 2024 წლამდე არ იქნება, უფრო სწრაფად იქნება რიგგარეშე არჩევნები, რადგან რიგგარეშე არჩევნებს განსაზღვრავს პოლიტიკური პროცესის ლოგიკა.



პოლიტიკური პროცესის ლოგიკა დღეს იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობას არ აქვს საკმარისი ლეგიტიმაცია, რომ ელემენტარულ გამოწვევებს უპასუხოს, რომელიც ქვეყნის წინაშეა, როგორებიცაა კოვიდი, ელემენტარული საზოგადოებრივი წესრიგი ქუჩაში და ა.შ. არ ვსაუბრობ მაღალ მატერიებზე, როგორიც არის სასამართლო რეფორმა, ეკონომიკური რეფორმები. ამიტომ იქმნება რიგგარეშე არჩევნები და არა იმიტომ, რომ ვიღაცამ რაღაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ან ვიღაცა 43%-ს მიაღწევს, ან – არა, – განაცხადა გახარიამ.

მან ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიაში გაწევრიანების მსურველებზე ზეწოლა ხორციელდება და რომ „შესაბამისი ორგანოები იკვლევენ მათ ოჯახის წევრებს და სამსახურიდან გაშვებით ემუქრებიან“.

– ეს, გარდა იმისა, რომ სამარცხვინოა, უბრალოდ ღიმილის მომგვრელი და ტრაგედიაა, პირველ რიგში, „ოცნების“ ღირსეული წევრებისთვის, ვიცი, რომ ბევრი ღირსეული ადამიანია იქ, იმ ღირსეული წევრებისთვის, რომლებმაც ასეთი ზეწოლა თავის თავზე განიცადეს 2012 წელს, იბრძოლეს და ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, ადამიანებს დაპირდნენ, რომ მსგავსი რამ ამ ქვეყანაში არასდროს აღარ განმეორდებოდა, ზუსტად იგივეს აკეთებენ დღეს. უბრალოდ, სამარცხვინოა ეს ყველაფერი, – განაცხადა გახარიამ.

# თენგიზ ცერცვაძე: „ვაქცინა სიკვდილისგან იცავს“ „სიკვდილის შემთხვევები ვაქცინირებულებში არ ყოფილა“



– არც ერთ ვაქცინას შორის არ არის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანი, ვიდრე ის დრო, რომელიც იკარგება რომელიმე ვაქცინის მოლოდინში.

ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა.

ცერცვაძის თქმით, ბოლო პერიოდში სიკვდილიანობის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, საქართველოში სიკვდილიანობის პროცენტული მაჩვენებელი დაბალია.

– რაც შეეხება გარდაცვალების მაღალ ციფრს. ძალიან ცუდია, ეს ჩვენი მოსახლეობისთვის დანაკარგია. თითოეული ჩვენგანისთვის თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე ძვირფასია, უხერხულიცაა ამის ლაპარაკი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ გარდაცვლილთა რაოდენობას საქართველოში, რომელიც აბსოლუტურ განზომილებაში ბევრია ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის, თუ ჩვენ შევადარებთ შემთხვევების რაოდენობას, გამოვიყვანთ პროცენტულ მაჩვენებელს, ამ მაჩვენებლით, ბოლო ერთ კვირაშიც კი, ჩვენთან სიკვდილიანობა არ გასცდენია 1%-ს. ყველა აქტიური შემთხვევიდან გარდაცვალებით მთავრდება 1% მხოლოდ და 99%-ის გადარჩენა ხერხდება.

აქცენტი კეთდება, ბუნებრივია, გარდაცვლილ 1 პროცენტზე და არ კეთდება გადარჩენილ 99%-ზე. ეს ბოლო ერთ კვირაში, თორემ მთლიანად წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოს აქვს ევროპასა და ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი. ამერიკაზე ბევრად დაბალი სიკვდილიანობა და ევროპის 34 ქვეყანაზე უფრო დაბალი სიკვდილიანობა.

ბოლო 2 კვირაში სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა განაპირობა შემთხვევების ძალიან დრამატულმა მატებამ და იმან, რომ ჩვენთან ძალიან დაბალია ვაქცინაციით მოცვა.

სრულად ვაქცინირებულ ქვეყნებს მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი სიკვდილის შემთხვევები. ისრაელს აქვს 6.000 ახალი შემთხვევა, რაც სულაც არ არის ცოტა, მაგრამ სულ 17 გარდაცვალება აქვს. იმიტომ, რომ ვაქცინა, უპირველეს ყოვლისა, იცავს სიკვდილისგან და სასიკვდილო ფორმებისგან და შედარებით ნაკლებად დაავადების გადადებისგან.

ამიტომ, ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი გზა იმისი, რომ ჩვენთან შემცირდეს როგორც შემთხვევების რიცხვი, ისე სიკვდილიანობა, არის მასობრივი ვაქცინაცია, რომელიც საბედნიეროდ იზრდება, ბოლო დღეებში ორჯერ დაფიქსირდა 20.000-ზე მეტი ვაქცინაცია ერთ დღეში, თუმცა ესეც ცოტაა. უნდა იყოს სულ ცოტა 25-30 ათასი.

მინდა მოვუწოდო ყველას, კარგია „ფაიზერი“, დღეს ხელმისაწვდომია, ყველას შეუძლია, მაგრამ ნუ ჩავიკეტებით მარტო „ფაიზერზე“, ყველა ვაქცინა კარგია, მათ შორის ჩინური ვაქცინები და არც ერთ ვაქცინას შორის არ არის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანი, ვიდრე ის დრო, რომელიც იკარგება რომელიმე ვაქცინის მოლოდინში. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, პრაქტიკულად, სიკვდილის შემთხვევები ვაქცინირებულებში არ ყოფილა, თუმცა დაავადების შემთხვევები საკმაოდ ბევრია, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

# „ქალი გონდაკარგული წაიყვანეს, სისხლით იყო დასვრილი“

## მაკა მაისურაძის დაჭრისთვის დავით დვალიძე დააკავეს

ნაძალადევის რაიონში მომხდარ დაჭრის ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

ბრალდებულმა კონფლიქტის ნიადაგზე ახალგაზრდა ქალს სხეულზე მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. დაშავებული საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს.

36 წლის დავით დვალიძემ ახალგაზრდა ქალს 20-მდე ჭრილობა მიაყენა.

ქალს ნაძალადევის რაიონში, დიდი ჯიხაიშის ქუჩაზე, ოთახი ჰქონდა ნაქირავები, შემთხვევა სწორედ იქ მოხდა.

დაზარალებული მაკა მაისურაძე სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც მას ბრალდებული აედევნა, რასაც სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, დაჭრილი ქალი ოთახიდან გამოვიდა და დახმარებას ითხოვდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ის კლინიკაში გადაიყვანა, მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– გოგონა წაიყვანეს გონებადაკარგული.



ძალიან ბევრი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, გადაიყვანეს საავადმყოფოში. დასვრილი იყო სისხლისგან, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.დ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, კონფლიქტის ნიადაგზე, თავის ნაცნობს – 1983 წელს დაბადებულ მ.მ.-ს, მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ბოკერიას კლინიკა სასამართლოში უჩივის მედძმას, რომელიც ანტივაქსერულ გზავნილებს ავრცელებდა



ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი რეპუტაციული ზიანისა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი განცხადებების გამო ყოფილ მედძმას სასამართლოში უჩივის. კლინიკა სასამართლოს გზით მოითხოვს, რომ გაჟღერებული განცხადებები სიცრუედ და ცილისწამებად იქნას აღიარებული.

კლინიკამ მედძმა სამსახურიდან 28 ივლისს გაათავისუფლა.

„როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ჰოსპიტლის უკვე ყოფილი, მედძმის მხრიდან დაფიქსირდა დამსაქმებლის რეპუტაციის/იმიჯის დაკნინება და იმ კოლეგების ღირსების შელახვა, რომლებიც პანდემიასთან ბრძოლის ერთადერთ გამართლებულ გზად ვაქცინაციას მიიჩნევენ. ამასთანავე, აღნიშნულმა პირმა ვიდეო მიმართვა კომპანიის სახელისა და ლოგოს გამოყენებით გაავრცელა, რამაც შექმნა ცრუ წარმოდგენა, რომ დასაქმებულის მიერ კომპანიის პოზიცია გაჟღერდა. ეს წარმოადგენს პერსონალის, პაციენტებისა და მესამე პირთა შეცდომაში შეყვანას“ – ნათქვამია კლინიკის განცხადებაში.

გარდა ამისა, საკითხის შესწავლის მიზნით სამედიცინო ცენტრი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც მიმართავს, ვინაიდან გავრცელებულ ვიდეოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტი იკვეთება.

# „შანაი ბრუკი გაუპატიურებული არაა, კისერში დანით აქვს ჭრილობები მიყენებული“



30 ივლისს თბილისში ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი გაუჩინარდა. მეორე დღეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც საქართველოში ინგლისურს ასწავლიდა, მთაწმინდის ფერდზე გარდაცვლილი იპოვეს.

შანაი ბრუკის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში მისმა მეგობარმა გაავრცელა. მისი განცხადებით, როცა შანაის ტელეფონით ელაპარაკებოდა, ის მთაწმინდაზე იმყოფებოდა, როდესაც, სავარაუდოდ, თავს დაესხნენ. ტელეფონით საუბრის დროს მეგობარმა შანაის სიტყვები გაიგონა: „გთხოვთ, გამიშვით, უბრალოდ გამიშვით“.

„ამბებს“ სანდო წყარო საქმის გაუხმაურებელ დეტალებს უმხელს:

– როგორც ირკვევა, გოგონა, ასე ვთქვათ, „ნაომარია“ და ნაჭიდავებია. მას მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება. არ ვიცი, საიდან გავრცელდა ამბავი გაუპატიურების შესახებ, მაგრამ გეტყვით, რომ გოგონას სექსუალური ძალადობის კვალი არ აქვს, გაუპატიურება არ დასტურდება.

ქალი სხვა ადგილასაა მოკლული და მერეა იმ ადგილას ჩაყვანილი. როგორც ჩანს, მკვლელი გვამის გადამალვას ცდილობდა, ამიტომ ჰქონდა მას ტოტები ზემოდან დაყრილი. ისიც იკვეთება, რომ გოგონა იმავე ტერიტორიაზეა მოკლული, ანუ არც ისე შორს იმ ადგილიდან, სადაც მისი გვამი იპოვეს.

დაზიანებებსა და მკვლელობის იარაღს რაც შეეხება, რაიმე პროფესიონალური კი არა, მალაზიაში რომ იყიდება, პლასტმასის ტარიანი დანით აქვს კისრის არეში ჭრილობები მიყენებული. ეტყობა, თავდამსხმელი აშინებდა და ეჭიდავებოდა, ის კი წინააღმდეგობას უწევდა. ქალს ხელის თითებიც დასერილი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ეს არ ჰგავს დაგეგმილ და პროფესიონალის მიერ შესრულებულ მკვლელობას. მსხვერპლს არც თავის და არც გულ-მკერდის არეში არ აქვს ჭრილობები, – ამბობს წყარო.

# პროკურატურამ აფხაზეთის მთავრობის მაღალჩინოსანი ირაკლი დარცმელია დააკავა



მთავარმა პროკურატურამ აფხაზეთის მთავრობის სსიპ-ის, პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს უფროსი დააკავა.

ირაკლი დარცმელიას ბრალად ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისება, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, სსიპ პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, აღნიშნული სსიპ-ის კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების და ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, სსიპ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა ედება.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 15 სექტემბერს შპს „მედერსა“ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ შორის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „დანერგე მომავლის“ ფარგლებში თანადაფინანსების ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზე, 2020 წლის 31 დეკემბერს, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ შპს „მედერის“ კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანში – 116.460.09 ლარი, ტრანშის მიზნობრივად გახარჯვის დასადასტურებლად ბენეფიციარი ვალდებული იყო სააგენტოში წარედგინა ბანკის მიერ დამოწმებული დოკუმენტი თანადაფინანსების თანხის, კერძოდ, 31.325 (116.460.09 ლარის ეკვივალენტი) ევროს პოლონური კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ.

2021 წლის 17 თებერვალს, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოში“ ბრალდებულის მიერ წარდგენილი იქნა მის მიერვე დამზადებული, ყალბი საგადახდო დავალება, რომლითაც თითქოს შპს „მედერის“ კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან 31.325 ევრო გადაირიცხა პოლონური კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე.

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ შპს „მედერის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული 116.460.09 ლარიდან 2021 წლის 4 და 6 იანვარს, ორ ტრანშად, 84.000 ლარი გადაირიცხა ბრალდებულის მეგობრის საბანკო ანგარიშებზე დანიშნულებით „მომსახურების საფასური“.

ამ უკანასკნელმა კი 29.000 ლარი და 52.000 ლარი გადარიცხა ი.დ-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე. ბრალდებულმა კი მის პირად ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან ნაწილი გაიტანა საბანკო ანგარიშიდან და შეიტანა სხვა ბანკში არსებულ მის პირად ანგარიშებზე და ასევე, „აჭარაბეთის“ ანგარიშზე.

გამოძიებამ სხვა დანაშაულებრივი ქმედებებიც გამოავლინა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულ ირაკლი დარცმელიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 9 აგვისტოს შეეფარდა.

# გურჯაანში მომხდარ დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

სამართალდამცავებმა 23 წლის მამაკაცი თანასოფლელის, 24 წლის პირის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას თანასოფლელი ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და მიიმალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ზ.გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელი – 1997 წელს დაბადებული რ.ნ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სუს-ის თანამშრომლებზე ინფორმაციის გავრცელებაზე გამოძიება დაიწყო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სუს-ის თანამშრომლებისა და თანამდებობის პირების სამსახურებრივი მოვალეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ფაქტებზე გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას სუს-ი ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

„როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისა და თანამდებობის პირების სამსახურებრივი მოვალეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ფაქტები, რაც ცალსახად წარმოადგენს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის დარღვევის ფაქტს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება. ამჟამად საქმეზე ტარდება ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირთა გამოვლენის, სამართლებრივი რეაგირებისა და შემდგომში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გახმაურების პრევენციის მიზნით.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას გულისხმობს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტზე 1 პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, დაკავებული პირის საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 4.719 სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 20.763 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

# შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების მასობრივი ვაქცინაციის პროცესი კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით აქტიურად გრძელდება როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ გახსნილ იმუნიზაციის ცენტრში ამჯერად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ვაქცინაცია.

სამინისტროს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო სხვადასხვა ვაქცინით აცრის პროცესს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის სამსახურის და უწყებაში დასაქმებული ექიმები ახორციელებენ.

იმუნიზაციის ცენტრებში მოწყობილია ვაქცინაციის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით არის აღჭურვილი, რაც სრულად უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან როგორც „ფაიზერის“ და „სინოვაკის“, ასევე, „სინოფარმის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, სამინისტროს 20 ათასამდე თანამშრომელი უკვე ვაქცინირებულია.

# რუსთავში რამდენიმე წუთში 2 მაღაზია გატეხეს




რუსთავში 9 აგვისტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში 2 მაღაზია გაქურდეს.

ჯერ ქუთაისის ქუჩაზე გაქურდეს სუპერმარკეტი „იბერია“. სამმა პირმა მაღაზიაში კარის დაზიანების შემდეგ შეაღწია და 30 წამში სალაროების გატანა მოასწრო.

ცოტა ხნის შემდეგ იგივე ჯგუფმა უკვე ტაშკენტის ქუჩაზე ქსელური აფთიაქი იგივე მეთოდით გაქურდა.

ადგილზე დროულად მივიდა კრიმინალური პოლიცია.

სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე რამდენიმე არასრულწლოვანი დააკავეს და გამოკითხვის მიზნით განყოფილებაში გადაიყვანეს.

# ლატვიამ ბელარუსის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა



ლატვიამ ბელარუსის საზღვრის გასწვრივ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო მდგომარეობა 11 აგვისტოდან შედის ძალაში და 10 ნოემბრამდე იმოქმედებს.

როგორც საერთაშორისო მედია წერს, ლატვიელ მესაზღვრეებს შეიარაღებული ძალები და სახელმწიფო პოლიცია დაეხმარება უკანონო იმიგრაციის აღკვეთაში და მათ უფლება ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებით უკანონო მიგრანტები იმ ქვეყანაში დააბრუნონ, საიდანაც შევლენ.

ლატვიას ბელარუსთან 175 კილომეტრის სიგრძის საზღვარი აკავშირებს და აქამდე მას მხოლოდ მესაზღვრეები იცავდნენ.

ლიეტუვას პარლამენტიც მსჯელობს საზღვარზე პატრულირებისთვის ჯარისკაცების განლაგების საკითხზე. ბოლო პერიოდში ლიეტუვასა და ლატვიაში მეტწილად ერაყელი მიგრანტების ნაკადმა იმატა. ქვეყნები ბელარუსის ხელისუფლებას ადანაშაულებენ, რომ მიგრაციის პროცესს ხელს უწყობს და ამით სურს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებს უპასუხოს.

# ბაშარ ასადმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განკარგულება გასცა პრემიერ-მინისტრ ჰუსეინ არნუსის ახალი მთავრობის ფორმირების შესახებ.

სირიაში საპრეზიდენტო არჩევნები 26 მაისს გაიმართა და მასში, ოფიციალური მონაცემებით, ბაშარ ალ-ასადმა ხმათა 95.1%-ით გაიმარჯვა. გასულ თვეში ბაშარ ასადმა პრეზიდენტის ფიცი დადო და სირიის პრეზიდენტობა მეოთხედ, შვიდი წლის ვადით ჩაიბარა.

ალ-ასადის მოწინააღმდეგეებისა და დასავლეთის ქვეყნების შეფასებით, არჩევნები არალეგიტიმური და გაყალბებული იყო.

ბაშარ ასადი სირიას 2000 წლიდან მამის, ჰაფეზ ასადის, გარდაცვალების შემდეგ მართავს.

# თალიბებმა ფარაჰის პროვინციის დედაქალაქი აიღეს



„თალიბანის“ დაჯგუფებამ ავღანეთში ფარაჰის პროვინციის ამავე სახელწოდების დედაქალაქი აიღეს.

ეს ბოლო 5 დღეში თალიბების მიერ დაკავებული მეხუთე რეგიონული დედაქალაქია.

„უსაფრთხოების ძალებთან ბრძოლის შემდეგ თალიბანი შუადღეს ქალაქ ფარაჰში შევიდა.

მათ დაიკავეს გუბერნატორის ადმინისტრაცია და პოლიციის მთავარი სამმართველოები“ – აცხადებენ ადგილობრივ მთავრობაში.

თალიბანმა განსაკუთრებით მას შემდეგ გააფართოვა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია, რაც ავღანეთიდან საერთაშორისო სამხედრო მისიების გასვლის პროცესი დაიწყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პენსიონერმა, რომელიც საკუთარ ნაკვეთში ტანკს მალავდა, თავი ციხეში ამოყო



გერმანიაში სასამართლომ განაჩენი გამოუტანა 84 წლის პენსიონერს, რომელიც საკუთარ ნაკვეთში ძველ ტანკს მალავდა.

2015 წელს გერმანელმა სამართალდამცავებმა შლეზვიგ-გოლშტეინის მიწის ქალაქ ხაიკენდორფის ხანდაზმული მკვიდრის მიწის ნაკვეთი გაჩხრიკეს და იქ ტანკი „პანტერა“ აღმოაჩინეს, რომელსაც მუხლუხები არ ჰქონდა. ასევე მათ აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი, ავტომატები, პისტოლეტები და სხვადასხვა იარაღი. მთელი ამ არსენალის ამოსაღებად სამართალდამცავებს საქმეში არმიის ჩართვა დასჭირდათ.

2 აგვისტოს სასამართლომ პენსიონერი იარაღის უკანონოდ შენახვაში დამნაშავედ ცნო და ერთი წლითა და ორი თვით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. გარდა ამისა, ის 250 ათასი ევროთი დაჯარიმდა, ასევე ვალდებული იქნება, ორი წლის განმავლობაში ტანკი და ქვემეხი გაყიდოს ან აჩუქოს მუზეუმებს ან კერძო კოლექციონერებს.

პენსიონერის ადვოკატის თქმით, აშშ-ის ერთ-ერთი მუზეუმი ტანკით დაინტერესდა, ხოლო გერმანელმა კოლექციონერებმა სხვა იარაღებზე ცნობების მოძიება დაიწყეს.

# ზვიგენი 12 წლის გოგონას საზოგადოებრივ პლაჟზე თავს დაესხა

აშშ-ში 12 წლის გოგონას ზვიგენი თავს დაესხა საზოგადოებრივ პლაჟზე, სადაც ის მშობლებთან ერთად ისვენებდა.

აღნიშნული ინციდენტი მერილენდის შტატის ქალაქ ოუშენ-სიტიში მოხდა. როგორც დაშავებული ჯორდან პრუშინსკის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, გოგონა ნაპირთან ახლოს თავთხელ წყალში ბანაობდა, როდესაც მას მტაცებელი თევზი დაესხა თავს.

– ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, სანამ ნაპირზე არ აღმოვჩნდი. ყველგან სისხლი იყო, – იხსენებს ჯორდანი.

გოგონას მაშველებმა და შემთხვევის თვითმხილველებმა აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და შემდეგ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ ექიმებმა გოგონას ფეხზე 20 ჭრილობა აღმოაჩინეს და 42 ნაკერი დაადეს.

– დღემდე არ ვიცით, რომელი სახეობის ზვიგენი დაესხა თავს, ექიმებმა კი განაცხადეს, რომ ასეთ ჭრილობებს ზღვის სხვა არც ერთი ცხოველი არ ტოვებს, – აღნიშნა დაშავებული გოგონას დედამ მელისა პრუშინსკიმ.

# დედოფალ ელისაბედ II შვილს გაუპატიურების ბრალდებით გასამართლება ემუქრება

პრინც ენდრიუს 20 წლის წინ ამერიკელი ქალის გაუპატიურებისთვის გასამართლება ემუქრება. ამის შესახებ ქალის ადვოკატმა განაცხადა.

37 წლის ამერიკელი ვირჯინია რობერტსი ამტკიცებს, რომ 17 წლის ასაკში ის პრინც ენდრიუს მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა და უახლოეს დღეებში დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II შვილის წინააღმდეგ ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელს შეიტანს.



აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ვირჯინია რობერტსმა პრინც ენდრიუს ბრალი დასდო, რომ 2001 წელს, როდესაც თავად 17 წლის იყო, იორკის ჰერცოგი, რომელიც ჯეფრი ეპშტეინთან მეგობრობდა, იმ რამდენიმე მამაკაცს შორის იყო, რომლებთანაც სექსს აიძულებდნენ. ამასთან ეპშტეინი ნიუ-იორკის შტატის სამართალდამცავმა ორგანოებმა 2019 წლის ივლისში დააკავეს. ფინანსისტს სექსუალური ხასიათის ძალადობის და პროსტიტუციაში არასრულწლოვანების ჩაბმის ბრალდება წაუყენეს. იმავე წელს პრინცმა ენდრიუმ დროებით მოიხსნა საკუთარი უფლებამოსილება სამეფო ოჯახში და საზოგადოებაში გამოჩენა შეწყვიტა.

საბოლოო ნაბიჯი, შეიტანს თუ არა სარჩელს სასამართლოში, რობერტსის გადასაწყვეტია. მანამდე კი ბუკინჰემის სასახლემ განაცხადა, რომ იორკის ჰერცოგს არ ჰქონია არანაირი სქესობრივი ურთიერთობა ამერიკელ ქალთან, ხოლო ნებისმიერი საწინააღმდეგო მტკიცება მისი მხრიდან, ცრუ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მგზავრობიდან დაბრუნებულ ოჯახს სახლში 22 კობრა დახვდა

ინდოეთის მახარაშტრას შტატის სოფელ იუტამსარაში სახლში დაბრუნებულ ოჯახს იქ 22 საშიში შხამიანი გველი კობრა დახვდა.

მამაკაცი, სახელად მანგეში, ოჯახთან ერთად რამდენიმე დღე იყო წასული. უკან დაბრუნებულებმა კი სახლის შესასვლელთან გველის კანი შენიშნეს. თავდაპირველად მანგეშმა ამას ყურადღება არ მიაქცია, ვინაიდან საკუთარი საქმეებით იყო დაკავებული.

საღამოს ინდოელი დასაძინებლად ემზადებოდა, როდესაც თავის ოთახში კობრა შენიშნა. შეშინებულმა მანგეშმა გონება დაკარგა. გონს მოსულმა კი ოჯახის წევრები სახლიდან გაიყვანა და გველებზე მონადირე სარპამიტრუ ბხუშან სანკე გამოიძახა.

სანკე ადგილზე მივიდა და კობრა დაიჭირა. ამის შემდეგ მანგეში დამშვიდდა, მაგრამ მეორე დილით მან კიდევ ორი ქვეწარმავალი შენიშნა, რომლებიც სამზარეულოს ნიჟარის ქვევიდან გამოძვრნენ.

ინდოელმა ისევ გველებზე მონადირე გამოიძახა. ამჯერად სანკემ მთელი სახლი დაათვალიერა და კობრას 22 წიწილს მიაგნო. მან დაჭერილი ქვეწარმავლები ტყეში გაუშვა და ამის შესახებ სატყეო მეურნეობის დეპარტამენს აცნობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# „ლიტერატურა ოკუპაციის წინააღმდეგ“ — პროექტი საოკუპაციო საზღვრისპირა სოფლებში

რეჟისორმა გიორგი სავანელმა გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო საზღვრისპირა სოფლებში ახალი პროექტი „ლიტერატურა ოკუპაციის წინააღმდეგ“ განახორციელა:

– ეს ჩვენი პროექტია, რომელიც 30 ივლისს დავიწყეთ და გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო საზღვრისპირა სოფლებში ვახორციელებთ. უკვე ვიყავით ტირძნისში, ტყვიავში, კარალეთის დევნილთა დასახლებაში, სექტემბერში კი კიდევ სამ დასახლებაში გვექნება ღონისძიებები: დიცში, მერეთსა და ნიქოზში.

თითო სოფელში თითო ღონისძიება, ვიცით ეს საკმაოდ მცირეა, მაგრამ სულ არაფრობას ხომ სჯობს, რომლის ფარგლებში წარმოვადგენთ: პიესის „უკანასკნელი დედოფლის“ თეატრალიზებულ, კოსტიუმირებულ კითხვას, რომელიც ეხება 1801 წლის ანექსიის თემას და უკანასკნელ დღეებს; ლიტერატურული ინტერმედია 25 თებერვლისა და 9 აპრილის შესახებ; საჯარო ლექცია, სადაც ვყვებით იმ ბოროტების შესახებ, რაც ჯერ რუსულმა ცარიზმმა გაუკეთა საქართველოს, შემდეგ ბოლშევიკური ოკუპაციის და საბჭოთა სიავეების შესახებ და დღევანდელი კრემლის რეჟიმის საოკუპაციო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, სადაც ასევე ჩართულია ლიტერატურული ნაწილი, თუ როგორ რეაგირებდა მწერლობა რუსულ აგრესიაზე.

ბოლოს კი, თითო სოფელში სხვადასხვა მწერალი ან პოეტი ხვდება აუდიტორიას, ესაუბრება და თავად აცნობს საკუთარ შემოქმედებას. სამი ღონისძიების ფარგლებში უკვე იყვნენ ჩართული პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, მწერალი თეონა დოლენჯაშვილი და პოეტი მიხეილ ღანიშაშვილი.

ჩვენთვის ძალიან ემოციურია საოკუპაციო საზღვართან და მავთულხლართებთან რამდენიმე კილომეტრში შევხვდეთ ადგილობრივებს, უშუალოდ, ღია ცის ქვეშ, ასე ვთქვათ, საველე პირობებში, თვალი თვალში გავუყაროთ და ველაპარაკოთ ხან პირდაპირ, ხან ლიტერატურის ენით, ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს სატკივარზე, ოკუპაციაზე და ჩვენი, ლამის სამსაუკუნოვანი მტრის ანტიქართულ ქმედებებზე.

ეს საუბარი, ბუნებრივია, წარმოუდგენელია საბჭოთა სიავეებზე საუბრის და ამ სიავეების მთავარი „შემოქმედების“ ხსენების გარეშე. დიახ, ვსაუბრობთ ბელადად წოდებული ჯუღაშვილის ავაზაკობაზეც და კიდევ ბევრ სხვაზეც, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ მტვერწაყრილ საკითხებზე.

საკმაო ნაწილი აუდიტორიისა გვისმენს და იზიარებს ჩვენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოზიციას. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველ სოფელში გვხვდება რამდენიმე ადამიანი, რომელსაც ეკლები აყრის გორელი ბელადის სამართლიანად და დამსახურებულ აუგად ხსენებაზე და, იმდენად ცხადად გამოხატავენ პროტესტს სიმართლისადმი, ჩვენდამი... პირდაპირ ცდილობენ გაგვაჩუმონ, უსირცხვილოდ ამბობენ, რომ „ამაზე არ უნდა ვისაუბროთ“, „ნუთუ ამის სასაუბროდ ჩავედით“, „სხვა თემა ვერ ვნახეთ სასაუბროდ“... მიუხედავად ამისა, ნირშეუცვლელად ბოლომდე ვაგრძელებთ ჩვენ აქტივობას და ბოლო სიტყვამდე უკან არ ვიხევთ და ვამბობთ, ვყვებით იმას, რაც სიმართლეა და რაც მიგვაჩნია, რომ სათქმელია. გულდასაწყვეტი ის არის, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში, მავთულხლართების სიახლოვეს, ღონისძიებების ჩატარება გვიწევს საპატრულო ეკიპაჟის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მშვიდობიანად ჩავატაროთ ღონისძიება და



სტალინთმოყვარე არსებების და რუსეთზე „გულაჩუყებულთა“ შემოძახილებმა საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ხელი არ შეუშალოს მოსმენასა და ჩართულობაში.

მადლობა მინდა ვუთხრა ამ აქტივობებში ჩართულ ყველა მწერალს, პოეტს, მსახიობს და მათაც, წინასწარ ვინც შემოდგომიდან შემოგვიერთდება. ჩვენ სექტემბრიდან კვლავ გავაგრძელებთ ამ პროექტს, რომლის მხარდამჭერია კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რაც კიდევ ორმაგ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას გვაკისრებს.

და ბოლო, მიუხედავად ამ მოულოდნელობებისა, სირთულეებისა და გამოწვევებისა, კიდევ უფრო მეტად ვხვდებით და ვგრძნობთ, რომ ამ პროექტით მიზანში გავარტყით და ვაკეთებთ იმას, რაც ძალიან საჭიროა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების ჩამოყალიბებისათვის. ეს კი თითოეულ ჩვენგანს მეტ სტიმულს გვაძლევს!

# „ჯეოსტარელი“ გურამ პაპუაშვილი გარდაიცვალა



ახალგაზრდა მომღერალი, „ჯეოსტარელი“ გურამ პაპუაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა ოთო ნემსაძემ გაავრცელა:

– ძალიან სამწუხარო ამბავი გვაქვს მეგობრებო, უნიჭიერესი და უკარგესი ადამიანი დაკარგა გორმა და საქართველომ. ვინც იცნობდა გურიკა პაპუაშვილს, იცით, როგორ ადამიანზეა საუბარი, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და საქართველოს.

მშვიდად განისვენე მეგობარო. ჯეოსტარელი იყო. ყოველთვის ჩვენს გულებში იქნები ძმაო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კევინ დურანტმა კარმელო ენტონის გადაასწრო

## ოლიმპიური ფაქტები



ტოკიოს ოლიმპიური თამაშები წარსულს ჩაბარდა. 32-ე ოლიმპიადა სარეკორდო გამოდგა საქართველოსთვის. ჩვენმა დელეგაციამ საერთო გუნდურ ჩათვლაში 33-ე ადგილი დაიკავა. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საქართველო მხოლოდ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის გუნდსა და უზბეკეთს ჩამორჩა, რომელმაც ერთი ოქროთი ბოლო დღეს გადაგვასწრო. სამაგიეროდ, ვაჯობეთ ისეთ მძლავრ ქვეყნებს, როგორებიც არიან უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები.

2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი – ასეთია ჩვენი მონაგარი ტოკიოში. ახლა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი დევიზი აქვს – უკეთ, ვიდრე ტოკიოში.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ლაშა ტალახაძე 2-გზის ოლიმპიური ჩემპიონია, ძიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა 3-ვე სინჯის ოლიმპიური მედალი შეკრა – ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო. ნინო სალუქვაძე მსოფლიოში ერთადერთი ქალია, რომელიც 9 ოლიმპიადაზე გამოვიდა.

ახლა სხვა ოლიმპიური საინტერესო ფაქტები:

ტოკიოში ყველაზე მეტი ოქრო ამერიკელმა მოცურავემ ქალებში დრესელმა მოიპოვა: 50 მეტრზე თავისუფალში, 100 მეტრზე თავისუფალში, 100 მეტრზე ბატერფლაიში, 4/100 მეტრზე თავისუფალსა და 4/100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ხუთი ოქრო მოიგო. 24 წლის დრესელი უკვე 7-გზის ოლიმპიური ჩემპიონია.

იაპონიის დედაქალაქში ყველაზე მეტი მედალი მოიგო ავსტრალიელმა მოცურავემ ემა მაკეონმა – 4 ოქრო და 3 ბრინჯაო. ეს ქალებს შორის ერთ ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების რაოდენობით რეკორდის გამეორებაა.

ამერიკელმა მძლეოსანმა ალისონ ფელიქსმა კი, ტოკიოში 2 მედალი მოიპოვა – ბრინჯაო 400 მეტრზე რბენაში და ოქრო 4/400 მეტრზე ესტაფეტაში. ახლა, მას კარიერაში 7 ოლიმპიური ოქროა, ხოლო ჯამში 11 მედალი აქვს მოპოვებული.

შედეგად, ფელიქსს ქალთა შორის მძლეოსნობაში ყველაზე მეტი მედალი აქვს. გარდა ამისა, ამიერიდან ფელიქსი ოლიმპიადების ისტორიაში ამერიკელ მძლეოსნებს შორის ყველაზე მეტი მედლის მფლობელია. მანამდე 10 მედლით რეკორდსმენი იყო ლეგენდარული კარლ ლუისი.

იტალიელმა სპრინტერებმა ტოკიოს ოლიმპიადის მძლეოსნობის ტურნირზე ნამდვილი ფურორი მოახდინეს. უსაინ ბოლტის ჰეგემონიის შემდეგ, 100 მეტრზე სენსაციურად გაიმარჯვა გაიტალიელებულმა ამერიკელმა ლამონტ ჯეიკობსმა (9.80 წამი). თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი სენსაცია – ჯეიკობსმა და კიდევ 3-მა იტალიელმა 4/100 მეტრზე ესტაფეტაც მოიგეს.

მამაკაცთა შორის სიმაღლეზე ხტომის ოქრო კი, ორმა სპორტსმენმა აიღო: ყატარელ მუთაზ ბარშიმსა და იტალიელ ჯანმარკო ტამბერის 2.37 მეტრის გადასალახად ცდების თანაბარი რაოდენობა დასჭირდათ. 2.39 მეტრი ორივემ გააცუდა და მსაჯის შეთავაზებას – გაეყოთ ოქროს მედლები, დათანხმდნენ.

მამაკაცთა საკალათბურთო ტურნირის პირველ ტურში საფრანგეთთან წაგების შემდეგ, აშშ-ის ნაკრებმა ყველა თამაში მოიგო, მათ შორის ფინალში იმავე ფრანგებს რევანში აუღეს და მორიგი ოქრო ირგუნეს.

ამერიკელთა შორის საუკეთესო იყო კევინ დურანტი, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებდა და ფინალში 29 ქულა დააგროვა. დურანტი, კარმელო ენტონის მსგავსად 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმცა, დურანტმა ენტონის მოპოვებული ქულებით (435) გადაუსწრო და ოლიმპიადებზე აშშ-ის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სულ ამერიკამ მე-20 ოლიმპიადაზე ითამაშა და მეთექვსმეტედ მოიგო.

აშშ-ის ქალთა ნაკრებმა კი, ზედიზედ მეშვიდედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მათი დაუმარცხებელი სერია 55 მატჩამდეა ასული. 5-5 ოქრო დაუგროვდათ ლეგენდარულ კალათბურთელებს – დაიანა ტაურაზისა და სიუ ბერდს.

ოლიმპიადის მთავარი იმედგაცრუება სერბი ჩოგბურთელი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა. ნოლე 22-მატჩიანი წაუგებელი სერიით შეხვდა ტოკიოს ოლიმპიადას. არადა, ოლიმპიადის მოგების შემთხვევაში შანსი ჰქონდა „ოქროს სლემის“ მფლობელი გამხდარიყო, რაც აქამდე ერთადერთ ჩოგბურთელს მოუპოვებია – ლეგენდარულმა გერმანელმა შტეფი გრაფმა ეს 1988 წელს გაახერხა.

ჯოკოვიჩს არც ამერიკელი ტანმოვარჯიშე სიმონა ბაილზი ჩამორჩა, ვინც ტოკიოს ოლიმპიადაზე 5 ოქროს უმიზნებდა. თუმცა, მხოლოდ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

უნიკალური შემთხვევა მოხდა ძიუდოში. იაპონელები – ჰიფუმი აბე და უტა აბე პირველი და-ძმანი არიან ისტორიაში, რომლებმაც ერთ დღეს მოიგეს ოქროს მედლები.

ჰიფუმიმ 66-კილოგრამამდე წონით კატეგორიის ფინალში ვაჟა მარგველაშვილი დაგვიმარცხა, უტამ კი, ქალებში 52-კილოგრამში გაიმარჯვა.

საერთოდ, ძიუდოს ტურნირი იაპონელთა სრული ტრიუმფით აღინიშნა: 9 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. მასპინძლებმა მხოლოდ 3 წონით კატეგორიაში ვერ აიღეს მედალი.

ფრანგმა მამაკაცმა სპორტსმენებმა ძალიან წარმატებულად ითამაშეს სპორტის სათამაშო სახეობებში.

ფრანგებმა 7 აგვისტოს ითამაშეს 3 ფინალი – მოიგეს ხელბურთსა და ფრენბურთში, წააგეს კალათბურთში.

ტოკიოს ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი ქალთა შორის კანადის ნაკრებმა მოიგო. კანადელებმა ფინალში პენალტების სერიაში დაამარცხა შვედეთი და პირველად გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

ეს ზაფხულის თამაშებზე კანადური სპორტის ისტორიაში უნიკალური წარმატებაა – ქვეყანამ სათამაშო სახეობაში პირველად მოიპოვა ოქრო 101 წლის განმავლობაში.

პირველად მსგავსი რამ კანადის ნაკრებმა 1920 წელს მოახერხა, როდესაც ჰოკეიში მოიგო ოლიმპიური ოქრო. გაგიკვირდებათ და, მაშინ ჰოკეი ზაფხულის თამაშების პროგრამაში შედიოდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**9 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-ბოავიშტა ............... 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სოჭი-ურალი ................................ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-რადომიაკი .................... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დესნა-ინგულეცი ......................... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ოდენსე .............. 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვარბერგი-სირიუსი ...................... 0:0

ნორჩიოპინგი-კალმარი ................ 1:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# პარი სენ ჟერმენი მესის დღეს წარადგენს



უკვე დადასტურებულად შეგვიძლია დავწეროთ, რომ ლეო მესი პარი სენ ჟერმენში ითამაშებს. ფეხბურთელმა, მისმა მამა და აგენტმა ხორხე მესიმ ფრანგულ კლუბთან შეთანხმებას მიაღწიეს. კონტრაქტში წერია 2 გარანტირებულ და კიდევ ერთ წელიწადზე, რომლის ამბავიც დროთა განმავლობაში გაირკვევა.

არგენტინის ნაკრების კაპიტანი გუშინ, 10 აგვისტოს პარიზში ჩაფრინდა, დღეს კი მისი ოფიციალური წარდგენა მოხდება.

პარი სენ ჟერმენის პრეზიდენტმა ნასირ ალ ხელაიფიმ მესის გადასაბირებლად საოცრად ოპერატიულად იმოქმედა და ბარსელონას ახლა უკვე ყოფილ ვარსკვლავს კონტრაქტზე ხელი მოაწერინა.

მთელი მსოფლიოს მედია უკვე იმას განიხილავს, თუ ვინ დახვდება მსოფლიოს 6-გზის საუკეთესო ფეხბურთელს „პარკ დე პრენსზე“. აქ, ლაპარაკი არ არის მარტო სერხიო რამოსზე, რომელსაც მესი როგორც მეტოქეს, ისე იცნობს. საუბარია, მის მეგობარსა და ყოფილ თანაგუნდელ ნეიმარსა და არგენტინელებზე, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, მაინც მწვრთნელი, მაურისიო პოჩეტინო უნდა ვახსენოთ.

პოჩეტინოს გარდა პარიზულ კლუბში არგენტინელები ლეო პარედესი და ანხელ დი მარია არიან.

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ პარი სენ ჟერმენმა მსოფლიოში უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა. მის თავდასხმაში ითამაშებენ მესი, ნეიმარი და კილიან მბაპე.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს პარიზელებმა სერხიო რამოსი, ჯანლუიჯი დონარუმა, ჰაკიმ აშრაფი და ჟორჟინიო ვეინალდუმი დაიმატეს.

# აუტსაიდერთა მატჩი თელავმა მოიგო

**ტორპედო-თელავი**

**0:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**0:1 შეყილაძე (79)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, ნადარაია, გრიგალაშვილი, ინკუმი, ჩალაძე (ბუკასი 57), მამასახლისი, ძარია (ტაბატაძე 57), წოწონავა (ახვლედიანი 57), რეკიში, ზიდანი

**თელავი:** სანიკიძე, კაპანაძე (შეყილაძე 70), თევზაძე, მარაქველიძე, ჯიქია (კ), ფაცაცია, ძოწენიძე, შერგელაშვილი, ჯანელიძე (თოლორდავა 90), რუხაძე, ჟუნიორი (აშორტია 73)



ეროვნული ლიგის 22-ე ტურის დასკვნით მატჩში ქუთაისის ტორპედომ უშუალო კონკურენტ თელავს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

უინტერესო და უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, გუნდებმა უკეთესად ითამაშეს. თუმცა, დიდად დატვირთული არც შესვენების შემდეგ ყოფილა.

თანაბარ თამაშში მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც შეცვლაზე შესულმა შეყილაძემ 79-ე წუთზე გაიტანა. თელაველთა შეტევამ მეტოქის მცველის შეცდომით ისარგებლა.

მალევე შეცვლაზე შესულ კიდევ ერთ თელაველ ფეხბურთელს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ აშორტიას დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა.

მატჩის ბოლოს რიონისპირელები შეტევაზე დიდი ძალებით გადავიდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს.

თელავმა 22 ქულით მეშვიდე ადგილზე აინაცვლა, ხოლო ტორპედო მე-9 პოზიციამდე დაქვეითდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 22 | 13 | 7 | 2 | 42-16 | 46 |
| 2.დინამო (თბ) | 22 | 14 | 2 | 6 | 34-18 | 44 |
| 3.დილა | 22 | 11 | 5 | 6 | 27-21 | 38 |
| 4.ლოკომოტივი | 22 | 11 | 3 | 8 | 37-33 | 36 |
| 5.საბურთალო | 22 | 9 | 8 | 5 | 32-23 | 35 |
| 6.სამგურალი | 22 | 7 | 8 | 7 | 22-26 | 29 |
| 7.თელავი | 22 | 5 | 7 | 10 | 19-34 | 22 |
| 8.შუქურა | 22 | 4 | 8 | 10 | 18-29 | 20 |
| 9.ტორპედო | 22 | 3 | 10 | 9 | 18-25 | 19 |
| 10.სამტრედია | 22 | 2 | 4 | 16 | 19-43 | 10 |

# აიაქსს კვარაცხელია და ერიქსენი სურს



ქართველ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიასადმი ნიდერლანდური აიაქსის დაინტერესებაზე ისევ იწერება. თუმცა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია.

გავრცელებული ხმებით, აიაქსმა კვარაცხელიას შესახებ რუბინს ერთხელ უკვე მიმართა, მაგრამ ყაზანურ კლუბს შეთავაზებული 15 მილიონი ევრო ეცოტავა. ნიდერლანდული გრანდი ქართველ ფეხბურთელს მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც რენის გაწელი შემტევი კამალდინ სულემანიც ვერ გადაიბირა.

იმავე წყაროს ცნობით, აიაქსი დანიელ ფეხბურთელ, კრისტიან ერიქსენსაც ელაპარაკება. გეხსომებათ, ერიქსენმა ივლისში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის პირველივე მატჩში მოედანზე გონება დაკარგა. ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს. იყო საუბარი ერიქსენის კარიერის დასრულებაზეც. თუმცა, როგორც ნიდერლანდელები წერენ, აიაქსის სამედიცინო შტაბმა მისი ჯანმრთელობა გამოიკვლია და სათამაშოდ მწვანე შუქი აუნთო.

# 16 წლამდე კალათბურთის ნაკრებმა ევროჩელენჯი მარცხით დაიწყო

საქართველოს დედაქალაქში მორიგი საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირი დაიწყო. მოგეხსენებათ, გასულ თვეში თბილისმა 20 წლამდე ვაჟთა ევროჩელენჯერს უმასპინძლა, რომლის ფარგლებშიც ჩვენს ქალაქს ევროპის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნების ნაკრებები ესტუმრნენ. ამჯერად სტუმრები ისეთი სახელიანნი არ არიან, როგორებით საფრანგეთი, სერბეთი და გერმანია იყვნენ, მაგრამ გოგონათა ევროჩელენჯერის მასპინძლობა ჩვენი საკალათბურთო სამყაროსთვის მართლაც გამორჩეული ამბავია.

თბილისურ ევროჩელენჯერში საქართველოსთან ერთად მალტა, ჩრდილოეთი მაკედონია, ალბანეთი და სომხეთი მონაწილეობენ. პირველ ტურში მაკედონიელები ისვენებდნენ, პირველ მატჩში კი ალბანეთმა სომხეთს შანსი არ დაუტოვა. ჩვენმა მეზობლებმა 37:61 წააგეს ალბანელებთან. რაც შეეხება ქართველებს, ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა სადებიუტო შეხვედრა მალტასთან დათმო – 28:71.

ტურნირის მეორე დღეს ჩრდილოეთი მაკედონია მალტას დაუპირისპირდება, ხოლო საქართველო ალბანეთს შეხვდება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ავტორისეული შენიშვნა-განმარტება ტექსტში; 2. მდინარე ვაშინგტონში; 3. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 5. მოლდოვეთის დედაქალაქი; 7. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ერთ-ერთი ტიპი; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ნაკურთხი წყალი; 16. საჭმელი სოკო; 18. პოლონეთის პარლამენტი.

**თარაზულად:** 4. ქალის ძველებური ხელჩანთა; 6. პირობითი სასჯელი; 8. სამთო ინჟინერი; 10. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 11. ერთხმიანი, ვოკალური ნაწარმოები ოპერაში; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 19. ჰიდროტექნიკური დამცავი ნაგებობა ზღვის, მდინარის სანაპიროზე, ჯებირი; 20. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკოსი; 21. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 22. ველური უკულტურო ადამიანი; 23. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. იანუსი; 3. რიეკა; 5. ბახი; 6. ქრთამი; 8. აწყური; 11. რქაწითელი; 13. მაუზერი; 14. ვარიეტე; 15. ჰამლეტი; 19. ჰაბი.

**თარაზულად:** 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ჩაპლინი; 9. კარწახი; 10. კროსი; 12. გრუნდიგი; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. გაგრიფში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაზიერი; 2. სალივანი; 3. სტატიკა; 5. გეორგიკა; 7. ჟინვალი; 9. კატალონია; 13. სისტოლა; 15. არწივი; 16. მაღარო; 18. ომალო.

**თარაზულად:** 4. ჰალოგენი; 6. ტრავიატა; 8. მიტროპოლიტი; 10. ბავარია; 11. ტიკი; 12. ალგეთი; 14. ჯაყვა; 17. მონჟი; 19. ეწერი; 20. მაჭახელა; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23. პოდესტა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 აგვისტო


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1070

ევრო — 3.6423

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3054

100 რუსული რუბლი — 4.2202

## ამინდის პროგნოზი 11 აგვისტოსათვის




## კლოპი: „მომავალ სეზონს ოპტიმისტურად ვუყურებ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა დამდეგ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ოპტიმისტური განწყობა აქვს და ფიქრობს, რომ ლივერპული ისევ მიაღწევს წარმატებას როგორც ინგლისში, ასევე ევროპულ სარბიელზე:

– გასული სეზონი ჩვენთვის წარუმატებელი გამოდგა და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ წელს ყველაფერი უნდა შეიცვალოს და გუნდში კარგი განწყობაა. ვფიქრობ, რომ წელს საჩემპიონო ბრძოლაში ერთ-ერთი ფავორიტები ვართ.

## რემზი შესაძლოა იუვენტუსიდან წავიდეს



აარონ რემზი შესაძლოა იუვენტუსიდან წავიდეს, რადგან მისი კარიერა იუვენტუსში ვერ აეწყო და ის მასიმილიანო ალეგრის გეგმებში არ შედის.

რემზი შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს, სადაც ის იუვენტუსში გადასვლამდე თამაშობდა. მისი შეძენით ევერტონია დაინტერესებული და შესაძლოა ეს ტრანსფერი რამდენიმე დღეში დადასტურდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მეხის დაცემის შედეგად ქორწილის 17 სტუმარი ადგილზევე დაიღუპა



ბანგლადეშში 17 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ექვსი დაშავდა ქორწილის დროს მეხის დაცემის შედეგად.

აღნიშნული ინციდენტი ნავაბგანჯის ოლქში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეხი დაეცა გემს, რომელსაც მდინარე პადმაზე ქორწილის რამდენიმე ათეული სტუმარი გადაჰყავდა.

– 17 ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. მეხი დაეცა გემს, რომელიც ქორწილისთვის იყო დაქირავებული, – განაცხადა ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საკიბ ალ რაბიმ.

ჩინოსანმა დააზუსტა, რომ მეხი გემს იმ დროს დაეცა, როდესაც ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ხომალდის გასაჩერებლად ღუზა ჩაუშვა.

## იუმორი

ერთმა მეზობელმა მეორეს გასძახა:

– ქალო, ლამარა, შენთან არიან.

– ნამდვილად ჩემთან არიან?

– აბა მე რა ვიცი. მოვიდნენ და იკითხეს, ის „პრასტიტუტკა“ სად არისო...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენ და შენი ქმარი სექსის დროს თუ საუბრობთ?

– მაგ დროს თუ დარეკავს, რა თქმა უნდა!

●●●

სექსის მერე ქალი კაცს ეკითხება:

– ძვირფასო, ოდესმე დავქორწინდებით?

– გაგიჟდი?! ვის რა ჯანდაბად ვუნდივართ?!

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეგ კაბა ძალიან გასუქებს.

– მართლა? მე კი ნამცხვრებს ვაბრალებდი...

●●●

ტბაზე თევზაობის დროს ბიჭიკიას თავზე რეინჯერები დაადგებიან და ეუბნებიან:

– აქ თევზაობა აკრძალულია და უნდა დაგაკავოთ!

– ჩემს დაჭერილ თევზს ხედავთ სადმე?

– არა.

– აპა ჩემს ჭიაყელას საცხა ვაბანავებ, რა თქვენი საქმეა?!

●●●

ავტოავარიის შემდეგ საავადმყოფოში კაცი გონს მოვიდა და თვალი გაახილა. საწოლთან ცოლი უზის. კაცი კითხულობს:

– სად ვარ? სამოთხეში?

– მომინდომა სამოთხე, შემომხედე, აგერ ვარ მე, – პასუხობს ცოლი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბიბი კვაჭაძე ქართველი ხელოვანების სათანადოდ დაფასებას ითხოვს



მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე საქართველოში მცხოვრები არაერთი უნიჭიერესი ხელოვანის სათანადოდ დაფასებას ითხოვს:

– უამრავ მუსიკოსს ვიცნობთ საქართველოში, რომლებსაც საკუთარი საქმისადმი სიყვარულით არაფერი დაუზოგავთ მუსიკისთვის, ხშირად ოჯახის ინტერესებიც გვერდზე გადაუდიათ ხელოვნების გამო. თავდაუზოგავად შრომობენ, ვითარდებიან, წერენ, ასრულებენ, ღამეებს ათენებენ შრომაში და ქმნიან ინტელექტუალურ საკუთრებას.

მაგრამ ვისთვის?

ამ ქვეყანაში ხელოვანი კარგად, გემრიელად და სათანადოდ დაფასებული არასდროს ყოფილა და არც იქნება. გადავხედოთ ძველი თაობის უგენიალურეს ქართველ კომპოზიტორებს, რომელი იყო მილიონერი? არც ერთი. და ვისზე ნაკლები კომპოზიტორები იყვნენ? თუ მეტი არა.

ამერიკაში დევიდ ფოსტერი ერთი სიმღერის დაწერაში 50-100.000 დოლარს იღებს და მისი ქონება 150 მილიონ დოლარს შეადგენს, მაგრამ ყველა ქართველი კომპოზიტორის შემოქმედების განმავლობაში აღებული ჯამური ჰონორარი ამ თანხას მაინც ვერასდროს მიწვდება, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი ეპოქის მთავრობა ყოველთვის არაკომპეტენტური კვერცხებით იყო დაკომპლექტებული!

საქართველოში არასდროს არ დაფასდება ხელოვანი ისე, რომ ხელოვანმა მხოლოდ ხელოვნებაზე იფიქროს და არა თავის გატანასა და შვილების სიმწრით გამოკვებაზე. ხოდა, შევარცხვინე თქვენი ფსევდოდემოკრატია და თქვენ მიერ დანიშნული თქვენივე მაღალი ხელფასები! შევარცხვინე ქვეყნის გაურკვეველი მიმართულება და სტაგნაცია, ბრეჟნევის სუნი და სიყალბე! შევარცხვინე კულტურის სამინისტროდან გამოსული ხვრინვის ხმა, უუნარობა და დისონანსი!

გაიხსენეთ, ნიკა რურუას მინისტრობის დროს ახალგაზრდები მაინც მიდიოდნენ სასწავლებლად და ფინანსდებოდნენ ნიჭიერი მუსიკოსები. აქვე დავძენ, მიშისტობაში არ ჩამითვალოთ, რადგან მაგრად მკიდია მიშაც და ყველა პოლიტიკოსი, ახლანდელიც და მაშინდელიც! არავისტი ვარ! უბრალოდ, სიკეთე უნდა დაინახო და აღიარო, თუ უმადური არ ხარ.

მოკლედ, ამ ქვეყანას კიდევ რამდენიმე საუკუნე დასჭირდება ამერიკას მიუახლოვდეს „სისტემის აწყობაში“ და ინტელექტუალური საკუთრების შეფასება-დაფასებაში.

საქართველო, მიყვარხარ და მენანები კრეტინების ხელში.



## ნინი ბადურაშვილმა ტუჩსაცხი გამოუშვა

მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა გადაწყვიტა პარფიუმერიის მოყვარულებს სასიამოვნო სიახლეები შესთავაზოს. მან ქალბატონებს ტუჩსაცხი შესთავაზა.

ნინიმ ქალბატონებისთვის 5 ფერის ტუჩსაცხი შექმნა და მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაუშვა რეალიზაციაში.

## ალექსანდრე ლორთქიფანიძე ქვეყანაში არსებულ კრიტიკულ მდგომარეობაზე წუხს



მწერალი ალექსანდრე ლორთქიფანიძე საქართველოში პანდემიის გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო წუხს:

– გავიგეთ, რომ არსებობენ ანტივაქსერები. გავიგეთ, რომ ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კონკრეტულად ამ ვაქცინაში ეპარებათ ეჭვი. ამ ადამიანებთან მუდმივ ჩხუბსა და დავიდარაბას, ფაქტია, არ მოაქვს შედეგი. ყველა თავის ინფორმაციულ სივრცეშია ჩაკეტილი. ზოგი მუდმივად ყალბ ინფორმაციას იღებს. რამდენიც არ უნდა ვიჩხუბოთ თუ დავუყვავოთ, არაფერი გამოდის.

ქვეყანაში კი კრიტიკული მდგომარეობაა, ბოლო ტენდენციით მსოფლიოში პირველ ადგილზე გადავედით სიკვდილიანობით. ესაა ტრაგედია, საშინელება და შემზარავი ამბავი.

ახლა მაინტერესებს, რატომ არ ქმნის მთავრობა მობილურ ჯგუფებს, რომლებიც ყველაზე კრიტიკულ რაიონებს დაივლიან და ხალხს დაელაპარაკებიან, სწორ ინფორმაციას მიაწვდიან, აუხსნიან ვაქცინის საჭიროებას? რატომ არ მიდის მუდმივად ვაქცინაციის პროპაგანდა ყველა შესაძლო მეთოდით? წინასაარჩევნო კეთილგანწყობას ხომ არ ეწირება ამდენი ადამიანი?

კიდევ მაინტერესებს, რატომ არ ქადაგებს საპატრიარქო, რომ ხალხი აიცრას? ხომ ყველამ ვიცით, რამხელა ავტორიტეტი აქვს მის უწმინდესობას? რამდენი ადამიანი გადარჩებოდა? სულ ერთი განცხადებაა საჭირო და ათასობით ადამიანი აიცრება. მაგრამ არა, მხოლოდ ის თქვეს, რომ არ ვკრძალავთო.

სხვას რა მოვთხოვოთ, როცა ქვეყნის ორი მთავარი სტრუქტურა არ უშლის ხელს ამ დელგმას. ??

კიდევ მაინტერესებს, სადაც კი მიწისძვრა და უბედურება ხდება, ეს ხალხი და ზოგიერთი სასულიერო პირი ყველაფერს ღვთის რისხვას მიაწერს ხოლმე. ჰოდა, რატომ არ შეიძლება ვაქცინაც ღმერთისგან საშველად გამოწვდილი ხელი იყოს? მარტო რისხვა იცის ღმერთმა? ეს ისე, რიტორიკისთვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პატარძალი ქორწილიდან ერთ საათში გარდაიცვალა

ეგვიპტელი ისრა შააბანი საკუთარი ქორწილიდან ერთ საათში გულის შეტევისგან გარდაიცვალა.

21 წლის შააბანი მეუღლის სახლში, რომელიც ბენისუეიფის პროვინციის სოფელში მდებარეობს, ქორწილის გადახდის შემდეგ გაემგზავრა. გოგონამ ოჯახის წევრებთან დაღლილობაზე და მკერდის არეში ტკივილზე დაიჩივლა და ისე რომ, საქორწინო კაბის გახდაც კი ვერ მოასწრო, უცბად წაიქცა და გონება დაკარგა. მალე გოგონა გონს მოვიდა და ნათესავებს შეევედრა, არ მიეტოვებინათ.

მეზობლების თქმით, მათ ახალდაქორწინებულთა ბინიდან გამომავალი ყვირილის ხმა გაიგონეს. შაბანი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გულის შეტევა დაუდგინეს. ექიმების მცდელობას, გოგონა გონებაზე მოეყვანათ, შედეგი არ მოჰყოლია. ის მოულოდნელად და სწრაფად გარდაიცვალა.

გოგონას მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველა მისი ნათესავი და ახლობელი შოკში ჩააგდო.

– გუშინ ყველანი ისრას ქორწილს ვესწრებოდით და თავს ბედნიერად ვგრძნობდით, დღეს კი ჩვენ ის დავასაფლავეთ, – განაცხადა გოგონას ბიძაშვილმა მოჰამად ჰამედმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 11 აგვისტოსათვის

**ვერძი** – ახლობლებთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებაში ტრადიციების დაცვის უნარი დაგეხმარებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – საოჯახო საქმეებს ვერ აუდიხართ. სამომავლოდ ნურაფერს გადადებთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ტყუპები** – მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები განერვიულებთ. ნუ დაწვრილმანდებით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – ფიზიკურადაც და მორალურადაც მშვენიერ ფორმაში ხართ. დღეს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს. **ლომი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობას აგვარებთ. მთავარია, შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** – ეცადეთ, შინაურებთან სკანდალი თავიდან აიცილოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. ყველა დაწყებული საქმე დღესვე დაამთავრეთ. კარგი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **ღრიანკალი** – მრავალი თქვენგანი საოცარ შორსმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებას გამოავლენთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ახალ ნაცნობობას, რომანტიკულ შეხვედრებს. იმედი გაგიცრუვდებათ. **თხის რქა** – გადადებული საქმე ეშმაკისააო. ნუ იზარმაცებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **თევზები** – საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. თანამოაზრეები გვერდში გიდგანან. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 5. დენის ძაბვის ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ხელსაწყო; 6. სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულის ღვთაება ინდუიზმში; 8. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 14. სიტყვის ბოლოსართი; 15. მდინარე ახალციხეში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო, დამსჯელი ორგანიზაცია ძველად; 4. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. ამერიკელი ავტოკონსტრუქტორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. აქტიური დაცვის მეთოდი სპორტულ თამაშებში; 16. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენის სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 21. ხერხემლის ძვალი; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

